„ალორძინების" დებიუტი ჟურნალისტების დამცველის როლში A2

შიშველი ქალები ომს პროტესტს უცხადებენ A2

სამშვიდობო შეთანხმება - ადამიანი კომპიუტერს დაუზავდა A6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

ქვირა, 9 თებერვალი, 2003 წელი. №38 (250)

ფასი 50 თეთრი

© გაზეთი 24 საათი

# გაქცევა სომალიდან

## ქართველმა მეზღვაურებმა 225-დღიან ტყვეობას თავი დააღწიეს

*"ჩვენ ჯოჯოხეთიდან შავ ეშმაკებს გამოვექეცით," – ამბობენ ქართველი მეზღვაურები, რომლებმაც სომალელ მეკობრეებს უპრეცედენტო გაქცევით დააღწიეს თავი.*

ზაზა წულაძე

ქართველ მეზღვაურთა დრამას სომალიში წერტილი დაესვა. საქართველოს ხელისუფლების მიერ მიტოვებულმა ექვსმა მოქალაქემ - ზურაბ გიორგაძემ, გულადი რუხაძემ, არტურ არუთუნიანმა, ნიკოლოზ პიჟოვმა, ალექსანდრე ჩიჩაძემ და ანატოლი არხანგოროდსკიმ საკუთარ თავს თავად უშველეს და მეკობრეებს თავი გაქცევით დააღწიეს. უპრეცედენტო გაქცევა ბოსაასოს ნავსადგურიდან 7 თებერვალს, თბილისის დროით 14 საათსა და 45 წუთზე განხორციელდა. გუშინ, 23 საათისა და 55 წუთისთვის საბერძნეთის გემი "ჟენლილი" საბედისწერო ადგილს უკვე 230-250 მილით იყო მოშორებული და იემენისკენ მიემართებოდა. **"მოგვილოცეთ, უკვე თავისუფლები ვართ,"** – ასეთი სიტყვებით შეგვეგება "ჟენლილის" კაპიტანი არტურ არუთუნიანი. საუბრის დროს ტელეფონში ისმოდა სიგიჟემდე გახარებული ქართველების ყიჟინა, ყველას სურდა ჩვენთან გასაუბრება და რაიმეს თქმა. **"კიდევ არ მჯერა, რომ ახლა საქართველოსკენ მოვემართებით. თქვენ ვერც წარმოიდგენთ, რა გადავიტანეთ. ჩვენ ჯოჯოხეთიდან შავ ეშმაკებს გამოვექეცით,"** – გვითხრა გულადი რუხაძემ.

გაგრძელება A3 გვერდზე



"ჟენლილი" 250 მილით გასცდა სომალის ნაპირებს და იემენისკენ მიემართება.




## კულუარები

### ვიტალი ხაზარაძის შურისძიება, რომელიც ჩაიშალა

ვიტალი ხაზარაძე აღშფოთებული და გაოგნებულია. ჯერ იყო და, "ახლებმა" პრეზიდენტის წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზებაში დაადანაშაულეს. შემდეგ, პარტიული ბოსების რჩევით, იმუნიტეტის მოხსნის შესახებ განცხადების გაკეთება მოუწია. ეს სამწუხარო ფაქტი კი ხაზარაძის დაბადების დღეს დაემთხვა, რამაც, როგორც ამბობენ, იუბილარს ხასიათი იმდენად გაუფუჭა, რომ დიდი რუდუნებით მომზადებული სადღესასწაულო სუფრა ჩაუშხამა და უბრალო ვახშმად გადაუქცია. ორი დღის წინ კი საკუთარმა თანაფრაქციელებმა და თანამოაზრეებმა, როგორც იტყვიან, ზურგში დანა ჩასცეს და "ახლების" წინააღმდეგ წამოწყებული შურისძიების კამპანიის ერთი ნაწილი (მართალია, მცირე, მაგრამ მაინც) ჩაუშალეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 11 | |
| ქუთაისი | 9 | |
| ბათუმი | 8 | |
| სოხუმი | 6 | |
| ფოთი | 8 | |
| თელავი | 9 | |
| ზუგდიდი | 8 | |
| გორი | 6 | |
| ახმეტა | 9 | |
| ჭიათურა | 7 | |
| გაგრა | 6 | |
| სამტრედია | 9 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1899 |
| ევრო | 2.3657 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.5994 |
| რუბლი | 0.0688 |

## რამსფელდი მოკავშირეების დარწმუნებას ცდილობს

აშშ-ის თავდაცვის მინისტრის დონალდ რამსფელდის განცხადებით, ვაშინგტონი იმედოვნებს, რომ ომი ერაყში აუცილებელი არ გახდება, მაგრამ იქვე დასძენს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას სერიოზულად აქვს გადაწყვეტილი ბაღდადის განიარაღება.

"არავის სურს ომი, ომი არასოდეს არ არის პირველი ან ადვილი არჩევანი. თუმცა, საჭიროა ომის თანმდევი რისკების არაფრის კეთებასთან შეპირისპირება იმ დროს, როდესაც ერაყი მასობრივი განადგურების იარაღის მოპოვებას ცდილობს", - განაცხადა რამსფელდმა მიუნხენში გამართულ ყოველწლიურ კონფერენციაზე, რომელიც უსაფრთხოების საკითხებს ეძღვნება.

მიუნხენში გამართულ მინისტერიალში 30 ქვეყნის თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრები მონაწილეობენ.

"აშკარაა, რომ დადგა დრო, როდესაც მნიშვნელოვანი შეტყობინება უნდა გავუგზავნოთ ერაყის მმართველ რეჟიმს ჩვენი სერიოზული განზრახვისა და მსოფლიოს გადაწყვეტილების თაობაზე, რომ ბაღდადის განიარაღება აუცილებლად მოხდება", - აღნიშნა ამერიკის თავდაცვის მინისტრმა.

რამსფელდის თქმით, ნატო-მ იმაზეც ვერ შეძლო შეთანხმება, რომ ერაყის მეზობელი თურქეთის დასაცავად მინიმალური ღონისძიებები მაინც გაეტარებინა, რაც დასავლურ ალიანსს ძირს უთხრის.

ხუთშაბათს ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ლორდმა რობერტსონმა მოკავშირეებს მოუწოდა, რომ თურქეთში "პატრიოტის" საჰაერო თავდაცვის სისტემა განალაგონ.

დონალდ რამსფელდის თქმით, "უპატიებელია" საფრანგეთის, გერმანიისა და ბელგიის ქმედება, რომლებიც ომის შემთხვევაში თურქეთის დასაცავად ნატო-ს შესაბამის გადაწყვეტილების მიღებას ბლოკავენ.

"მე ვერ წარმომიდგენია ამის გაკეთება, ეს ჩემს წარმოდგენას აღემატება...თურქეთი მოკავშირეა, ჩრდილოეთ ატლანტიკური ალიანსი სწორედ ამისათვის არსებობს", - განაცხადა აღშფოთებულმა რამსფელდმა.

საფრანგეთი, გერმანია და ბელგია ომის დაწყების წინააღმდეგნი არიან და ამტკიცებენ, რომ ნატო-ს მიერ ამგვარი გადაწყვეტილების მიღება დიპლომატიას შანსს აღარ დაუტოვებს.

მიუნხენში უსაფრთხოების ზომები გაძლიერებულია, რადგან გერმანიაში ერაყში ომის საწინააღმდეგო ყველაზე დიდი საპროტესტო აქცია მიმდინარეობს.

*"24 საათი"*


დონალდ რამსფელდი და ჯორჯ რობერტსონი.

## საქმენი სასაზღვრონი

*გუშინ კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში გაიმართა სუუამ-ის წევრი სახელმწიფოების სასაზღვრო უწყებათა ხელმძღვანელების შეხვედრა. მასში მონაწილეობდნენ საქართველოს, აზერბაიჯანის, უკრაინისა და მოლდოვის ნომერ პირველი მესაზღვრეები: ვალერი ჩხეიძე, ელჩინ გულიევი, ნიკოლაი ლიტვინი და იგორ კოლენოვი. მხარეებმა მიიღეს ერთობლივი განცხადება, აგრეთვე ხელი მოაწერეს რიგ დოკუმენტებს, რომლებიც ითვალისწინებს აგრესიული სეპარატიზმის, საერთაშორისო ტერორიზმის, უკანონო მიგრაციისა და იარაღის ბრუნვის, აგრეთვე ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას. გადაწყდა ისიც, რომ სუუამ-ის ქვეყნების მესაზღვრეთა მორიგ "სამიტს" უკრაინის დედაქალაქი უმასპინძლებს.*

გიორგი ასანიშვილი

სუუამი თავდაპირველი ჩანაფიქრით, წმინდა წყლის ეკონომიკური გაერთიანება უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოხდა ისე, რომ შემდგომში მან პოლიტიკური და სამხედრო ხასიათის ფუნქციებიც შეიძინა. ასეთი ტრანსფორმაცია საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელს სავსებით ნორმალურად მიაჩნია.

**"ნებისმიერი სახის ეკონომიკურ თანამშრომლობას უსაფრთხოების გარანტიები სჭირდება. თუ სატრანსპორტო დერეფანი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკურ ინტეგრაციას, უსაფრთხოების სათანადო სისტემით არ არის უზრუნველყოფილი, შეიძლება ყველაფერი წყალში ჩაიყაროს. ამიტომ, ეკონომიკურის პარალელურად, აუცილებელია პოლიტიკურ და სამხედრო**

გაგრძელება A2 გვერდზე

## მეცხრე ბლოკი გათიშვას გადაურჩა, მაგრამ ოთხშაბათამდე

*"ეი-ი-ეს თელასის" ორი დღის წინანდელი განცხადების მიუხედავად, დღეიდან "თბილსრესის" მეცხრე ენერგობლოკი არ გაითიშება. "იტერასთან" მიღწეულია შეთანხმება, რომლის თანახმადაც იგი ოთხშაბათამდე არ შეუწყვეტს ბუნებრივი აირის მიწოდებას მეცხრე ბლოკს. ამ კომპრომისს ხელისუფლებაში სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავას დამსახურებად მიიჩნევენ, თუმცა ჯერჯერობით ბუნდოვანია, თუ ვის მიერ დაიფარება გაზის საფასური: "ეი-ი-ეს მტკვრის", ხელისუფლებისა თუ ორივეს ერთობლივი ძალისხმევით.*

გვანცა კვინიკაძე

სახელმწიფო მინისტრის მოადგილის მამუკა ნიკოლაიშვილის განცხადებით, ამ ეტაპზე მეცხრე ბლოკისთვის, დაახლოებით, ორი მილიონი დოლარია საჭირო. მისი ინფორმაციით, ამ თანხას "ეი-ი-ეს მტკვარი" დაფარავს, თუმცა რა საშუალებით – ეს ნიკოლაიშვილისთვის უცნობია. ამავე დროს, "ეი-ი-ეს თელასის" ლობისტი ირაკლი მელაშვილი, პრაქტიკულად, გამორიცხავს გაზის საფასურის "ეი-ი-ეს მტკვრის" მიერ დაფარვის შესაძლებლობას. როგორც მან "24 საათს" განუცხადა, "ეი-ი-ეს მტკვრის" მიმართ საბითუმო ბაზრის დავალიანება 50 მილიონ ლარს აღემატება; ასე რომ, ამ დავალიანების შემცირებისა და, შესაბამისად, "იტერასთვის" ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის მექანიზმების ძიებას იგი ხელისუფლების საქმედ მიიჩნევს.

ამ დაძაბულ ენერგეტიკულ სიტუაციაში საქართველოს ხელისუფლებას აშშ-ც გაახსენდა და მის მთავრობას დახმარებისთვის მიმართა. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი "ეი-ი-ეს თელასის" მიერ მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის მიწოდების გრაფიკის დაწესების შესახებ გაკეთებულ განცხადებებს უსაფუძვლოდ მიიჩნევს. მისი განცხადებით, ამერიკის მთავრობის მიერ სპეციალურად ელექტროუზრუნველყოფისთვის გამოყოფილი ექვსი მილიონი დოლარის მობილიზება საკმარისი იქნება იმისთვის, რომ დედაქალაქის მოსახლეობა ელექტროენერგიის გარეშე არ დარჩეს. სააკაშვილმა გუშინვე გაუგზავნა შესაბამისი მიმართვა ამერიკული დახმარების უშუალო განმკარგავს, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) სამხრეთ კავკასიის რეგიონულ დირექტორს მაიკლ ფარბმანსა და თავად "ეი-ი-ეს თელასის" გენერალურ დირექტორს იგნასიო ირიბარენს.

მიხეილ სააკაშვილის ინფორმაციით, ამერიკის მთავრობის მიერ ზამთრის სეზონში ხელმოკლე ოჯახებისთვის ელექტროენერგიის

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 ინფორმაცია A4 ინფორმაცია A5 კულტურა A6 სპორტი A7 განცხადებები A8 სხვადასხვა

## სამართალი

# ჟურნალისტის შეურაცხმყოფელს წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს



*მალხაზ ხვედელიანი.*

თამარ კაციტაძე

მალხაზ ხვედელიანს, რომელმაც გიორგი სანაიას მკვლელობის პროცესზე მოწმედ დაკითხვის შემდეგ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ის ჟურნალისტს თიკო ფეიქრიშვილს, გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა სასამართლომ სამი თვით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

რამდენიმე დღის წინ, სასამართლოდან გამოსული მოწმე, რომელმაც თავისი მეგობრის - გრიგოლ ხურცილავას მიერ სანაიას მკვლელობა დაადასტურა და მკვლელობის ახალი მოტივიც დაასახელა, ჟურნალისტის კითხვამ გააღიზიანა და მას სახეში რამდენჯერმე გაარტყა. თიკო ფეიქრიშვილს ექიმებმა სახლში ოცდაერთდღიანი მკურნალობა დაუნიშნეს. რაც შეეხება დაზიანების ხარისხს, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზას იგი ოფიციალურად ჯერ კიდევ არ განუსაზღვრავს.

ჟურნალისტის ცემის ფაქტთან დაკავშირებით, გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის საგამოძიებო სამსახურმა სისხლის სამართლის საქმე იმავე დღეს აღძრა. მეორე დღეს კი ჟურნალისტის შეურაცხმყოფელს სამართალდამცველებმა ბრალი 239-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" პუნქტით წარუდგინეს და დააკავეს. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობისა და ხულიგნობის აღმკვეთთათვის წინააღმდეგობის გაწევისთვის ხვედელიანს ხუთ წლამდე პატიმრობა ემუქრება.

მოსამართლე ია მარიამიძემ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ თავისუფლებაში დარჩენილი ხვედელიანი ხელს შეუშლიდა გამოძიებას და ამიტომ მასზე წინასწარი პატიმრობის ბრძანება გასცა. მოსამართლის გადაწყვეტილებით კმაყოფილია გამოძიება. **"სასამართლომ ობიექტური გადაწყვეტილება მიიღო,"** – თვლის გამომძიებელი მამუკა მეტრეველი.

ხურცილავასა და ხვადაგიანის საერთო ადვოკატი დავით დადიანი კი რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაპროტესტებას საოლქო სასამართლოში აპირებს.

# საქმენი სასაზღვრონი

პირველი გვერდიდან

**სფეროებში თანამშრომლობაც. ისინი ერთმანეთს ავსებენ,"** - აცხადებს ვალერი ჩხეიძე.

თავის სუუამ-ელ კოლეგებთან შეხვედრის დამთავრების შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე, საქართველოს სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელმა, ძირითადად, პანკისის ხეობაში დღეს არსებულ მდგომარეობაზე ისაუბრა. ჩხეიძე ადასტურებს, რომ "ხეობაში კიდევ დარჩნენ შეიარაღებული ადამიანების ჯგუფები, რომლებიც კრიმინალებს წარმოადგენენ". სამაგიეროდ, დეპარტამენტის თავმჯდომარისთვის "მოულოდნელი აღმოჩნდა" ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პანკისის მაღალმთიან ადგილებში ჩეჩენი ბოევიკებიც იმყოფებიან და ისინი რუსეთში შესაჭრელად ემზადებიან.

**"მსგავსი სიგნალი ჩვენი რუსი კოლეგებისგან ნამდვილად არ მიგვიღია. ეს ინფორმაცია მასმედიიდან გავიგეთ,"** - აღნიშნავს ჩხეიძე.

უცნაურია, მაგრამ ისე გამოდის, რომ რუსი მესაზღვრეების გასაკეთებელსაც ქართველები აკეთებენ: **"ორი დღის წინათ მივიღეთ ოპერატიული ინფორმაცია, რომ რუსლან გილაევის ბანდიტურ ფორმირებას განზრახული აქვს მორიგი ვოიაჟის მოწყობა ჩეჩნეთიდან საქართველოში. აღნიშნული ინფორმაცია სასწრაფოდ ვაცნობეთ რუს მესაზღვრეებს,"** - დასძენს ვალერი ჩხეიძე. არადა, ალბათ პირიქით უნდა იყოს: მსგავს ცნობებს სწორედ რუსები უნდა აწვდიდნენ ქართულ მხარეს.



ვახო [illegible] ფოტო

*სუუამ-ის წევრთა მთავარი მესაზღვრეები შეხვედრით კმაყოფილნი არიან.*

კრწანისის რეზიდენციაში გამართულ შეხვედრას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილიც დაესწრო. ამასთან, სუუამ-ის წევრი სახელმწიფოების სასაზღვრო უწყებათა ხელმძღვანელების შეხვედრისას გაიმართა კავშირის, კონტროლისა და თვალთვალის სისტემა "იორის" პრეზენტაცია.

# ვიტალი ხაზარაძის შურისძიება, რომელიც ჩაიშალა

პირველი გვერდიდან

არადა, სქემა ძალზე მარტივი იყო. პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის სხდომაზე, სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, საპენსიო უზრუნველყოფის, დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობების ქვეკომიტეტის თავმჯდომარეც უნდა აერჩიათ, პატარა სპექტაკლი უნდა გათამაშებულიყო და ამ პოსტზე ერთადერთი კანდიდატის, "ახალი მემარჯვენეების" წევრის – ვალერი კვარაცხელიას დამტკიცება ჩაშლილიყო.

გეგმის განხორციელებას ხელს თითქოს არაფერი უშლიდა – კომიტეტის წევრთა უმრავლესობა ე.წ. "თემატური უმრავლესობის" წარმომადგენლები იყვნენ. ამის მიუხედავად, ვიტალი ხაზარაძეს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ერთადერთი, ვინც ამ საკითხის განხილვის გადადებას გააფთრებით ითხოვდა, თენგიზ ჯგუშია გახლდათ. მისი მტკიცებით, ასე ნაუცბათევად კანდიდატის დამტკიცება პარლამენტის რეგლამენტისა და კანონის დარღვევა იყო, მაგრამ მის მოთხოვნას ყური არავინ ათხოვა. სულ რამდენიმე წუთში კი კომიტეტის წევრებმა ვალერი კვარაცხელია ამ თანამდებობაზე ძალზე უტკივნეულოდ და თითქმის ერთსულოვნად აირჩიეს.

თენგიზ ჯგუშიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან თავის პოზიციასა და ვიტალი ხაზარაძის დირექტივას ბოლომდე უერთგულა და კენჭისყრის შემდეგ კომიტეტის წევრებს უსაყვედურა – ვალერი კვარაცხელიასთვის რამდენიმე კითხვის დასმას ვაპირებდი და თქვენ ამის საშუალება არ მომეცითო.

როგორც ამბობენ, ამ კენჭისყრას ვიტალი ხაზარაძის საკმაოდ მკვეთრი რეაქცია მოჰყვა, თუმცა, ალბათ, "თემატურ უმრავლესობაში" შემავალი საპარლამენტო ფრაქციების წარმომადგენლებისთვის ხაზარაძის რეაქციები ნაკლებაქტუალურია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ვალერი კვარაცხელიას მხარს ასე ერთსულოვნად არ დაუჭერდნენ.

*"24 საათი"*

# სპეცოპერაცია ქუთაისის საპყრობილეში

ბექა სისაური

სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა თბილისში მდებარე საპატიმროების დასუფთავება დაასრულა და ახლა რეგიონებში არსებულ ციხეებს მიადგა.

გუშინ ქუთაისის საპყრობილეში სპეცოპერაცია განხორციელდა, რომლის მიზანიც აკრძალული ნივთების ამოღება გახლდათ. სპეცოპერაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 100-მა თანამშრომელმა და სპეცდანიშნულების 300-კაციანმა რაზმმა ჩაატარა. ციხის მიმდებარე ტერიტორიას ადგილობრივი პოლიცია აკონტროლებდა.

ოპერაციის შედეგად ამოღებულია მცირე რაოდენობის აკრძალული ნივთები: დანები, ე.წ. "შტირები" და მობილური ტელეფონები. პატიმრებმა აკრძალული ნივთების უმეტესობა შემოწმებამდე დაამტვრიეს და საკნის ფანჯრებიდან გადაყარეს. გაიჩხრიკნენ ციხის თანამშრომლებიც. ზოგიერთ ზედამხედველს პატიმრების მიერ შესანახად მიბარებული მობილური ტელეფონები აღმოაჩნდა. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, პატიმრებთან ალიანსში მყოფი თანამშრომლები სამსახურიდან გუშინვე დაითხოვეს.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელის პაატა მხეიძის განმარტებით, საპყრობილეში აკრძალული ნივთების მცირე რაოდენობით არსებობა თბილისის საპატიმროში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგია, იმ შემოწმებამ გარკვეული პროფილაქტიკური როლი ითამაშა. პაატა მხეიძის ინფორმაციით, ქუთაისის საპყრობილეში პატიმრები ანალოგიურ სპეცოპერაციას ელოდნენ, ამიტომაც აკრძალული ნივთების დიდი ნაწილი ციხიდან წინასწარ გაიტანეს.

"ქუთაისის საპყრობილეში რამდენიმე ოპერაცია მაქვს ჩატარებული და აკრძალული საგნები ურიკებით გაგვქონდა. ძალინ მახარებს, რომ დღეს მსგავსი ვითარება არ დამხვდა. ჩემთვის მთავარია, ციხეში აკრძალული საგნები არ იყოს. მირჩევნია, მშვიდად ვიძინო, ვიდრე ციხიდან ამოღებული ორი ვაგონი ბასრი იარაღით მოვიწონო თავი. ამჟამად საპყრობილე, პრაქტიკულად, სუფთაა და ამ სიტუაციის შენარჩუნება ახლა პირად შემადგენლობაზეა დამოკიდებული," - განაცხდა განხორციელებული სპეცოპერაციის შემდეგ პაატა მხეიძემ. დეპარტამენტის თავმჯდომარემ ქუთაისის ციხის უფროსის მოვალეობის ახალი შემსრულებელიც წარადგინა. მალხაზ სინაურიძე ქუთაისელია, იგი თბილისის მეცხრე საპყრობილის უფროსის მოადგილედ და ისნის რაიონის პოლიციის ერთ-ერთი განყოფილების უფროსად მუშაობდა. პაატა მხეიძის თქმით, ახალ ხელმძღვანელობას გაწმენდილი ციხე ჩააბარეს.

# „აღორძინების" დებიუტი ჟურნალისტების დამცველის როლში

ბელა მახარაძე

*შვიდ თებერვალს ჟურნალისტ გიორგი უძილაურის დაკავების ფაქტს ბაღათურია და ბაკურია თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს მიხეილ სააკაშვილს აბრალებენ.*

ჯონდი ბაღათურია და ცოტნე ბაკურია აცხადებენ, რომ საქართველოში იგეგმება "ბოლშევიკური" გადატრიალება, რომლის ინიციატორები არიან შევარდნაძე და სააკაშვილი. "აღორძინების" ლიდერები ბრალს სდებენ სააკაშვილს ჟურნალისტ გიორგი უძილაურის დაკავებაში. მათი განცხადებით, არსებობს შევარდნაძისა და სააკაშვილის მიერ შედგენილი "შავი სია", რომლის მიხედვითაც ანგარიშს გაუსწორებენ იმ პოლიტიკოსებსა და ჟურნალისტებს, რომლებიც მათთვის მიუღებელნი არიან. **"სააკაშვილისა და შევარდნაძის ფარული თანამშრომლობა ღებულობს საშიშ სახეს. სააკაშვილი არის შევარდნაძის რუპორი და ასრულებს მის ყველა დავალებას,"** - აცხადებს ცოტნე ბაკურია.

ბაღათურიასა და ბაკურიას განცხადებით, სააკაშვილის გარემოცვაში არიან გონიერი ადამიანები, რომლებიც აწვდიან "აღორძინების" ლიდერებს ინფორმაციას მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, მაგრამ ჯერჯერობით თავს იკავებენ ხმამაღალი განცხადებებისგან.

**"ჩვენ ვაპირებთ ორასი ათასი ხელმოწერის შეგროვებას პრეზიდენტის იმპიჩმენტის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით, დავაყენეთ საკითხი პარტიის ხელმძღვანელობასთან და უახლოეს მომავალში მივიღებთ გადაწყვეტილებას,"** - განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ.

პარტიის ლიდერები სიფრთხილისაკენ მოუწოდებენ გაზეთ "ალიას" ჟურნალისტს რეზო შატაკაშვილს, რომლის მიმართაც, მათი ინფორმაციით, იგეგმება ფიზიკური ზეწოლა.

## უცხოეთი

# შიშველი ქალები ომს პროტესტს უცხადებენ

8 თებერვალს 700 ქალზე მეტი შეიკრიბა ავსტრალიაში და სრულიად შიშვლებმა ერაყში მოსალოდნელი ომის საწინააღმდეგო აქცია გამართეს.

ავსტრალიის ქალაქ ბაირონ ბეიში შეკრებილი ქალები ისე გაწვნენ, რომ გამოისახა სიტყვები - "არ გვინდა ომი", ხოლო სიტყვების გარშემო გულის ფორმა შეკრეს.

ავსტრალიის ხელისუფლებამ გადაწყვეტილება მიიღო და სპარსეთის ყურეში საომრად ჯარი უკვე გააგზავნა.

ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროტესტი კერძო საკუთრებაში მყოფ მიწის ნაკვეთზე მიმდინარეობდა და, შესაბამისად, მოქალაქეების თვალისათვის დაფარული იყო. თუმცა, აქციის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ სურათებს შვეულმფრენიდან გადაიღებენ და მსოფლიოში გაავრცელებენ.

*"როიტერი"*



*ავსტრალიელ ქალებს ომი არ უნდათ*

# ადამიანის გატაცება მოსკოვში დანაშაულის ყველაზე გავრცელებული სახეობაა

"მოსკოვში ადამიანებს უკვე დღისით, ყველას თვალწინ იტაცებენ," – ასეთი განცხადება გააკეთა მოსკოვის მილიციის მთავარმა სამმართველომ.

ეს განცხადება გუშინ, მოსკოვში ახალი გატაცების შემდეგ გაკეთდა. ორმა დაუდგენელმა თავდამსხმელმა ზორგეს ქუჩაზე მიმავალი ერთ-ერთი ფირმის დირექტორი დღის 2 საათზე გაიტაცა. ბიზნესმენს თავზე ტომარა ჩამოაცვეს, მანქანაში ჩასვეს და 50 ათასი დოლარი წაართვეს, რომელიც ფირმის დირექტორს თან ჰქონდა. ფულის ხელში ჩაგდების შემდეგ, ბიზნესმენი, რომლის ვინაობასაც მილიცია რატომღაც არ ასახელებს, რკინიგზის ერთ-ერთ სადგურთან დატოვეს. მილიციის მიერ გავრცელებული ვერსიით, გატაცება მოსკოვში მოქმედმა კავკასიელთა კრიმინალურმა დაჯგუფებამ მოაწყო. მოსკოვის მილიციის განცხადებით, ასეთ ვარაუდს ჩადენილი დანაშაულის ხელწერა იწვევს.

## მოკლედ

**ვენა.** ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოყო თანხის მთელი მოცულობა, რაც საჭიროა ქართველი მესაზღვრეების დამატებითი კონტიგენტის აღჭურვისათვის საქართველო-დაღესტნის საზღვრის კონტროლის გაფართოების მიზნით. ამის შესახებ ეუთო-ს მუდმივი საბჭოს სხდომაზე ვენაში განაცხადა ამერიკელმა დიპლომატმა დაგლას დევიდსონმა და აღნიშნა, რომ ეს თანხები ხელმისწვდომი იქნება "უახლოეს მომავალში". **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ მოსკოვში უშედეგოდ დასრულდა ქართულ-რუსული მოლაპარაკებები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში რუსი სამშვიდობოებისათვის მანდატის გაგრძელების თაობაზე. როგორც კავკას-პრესს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მოლაპარაკების სამი დღის განმავლობაში გრძელდებოდა და მასში მონაწილეობას იღებდნენ განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**მიუნხენი.** "საქართველოში მოქმედებენ პროჩეჩნური ასოციაციების ფუნქციონერები, კერძოდ, "ძმები-მუსულმანები", რომლებიც საზღვარგარეთიდან კოორდინირებას უწევენ ბანდიტურ ჯგუფებს და მათი მომარაგების საკითხებს". ამის შესახებ შაბათს განაცხადა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა 39-ე საერთშორისო კონფრენციაზე ტერორიზმთან ბრძოლის პრობლემებზე, რომელიც მიუნხენში მიმდინარეობს **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძე გუშინ კისლოვოდსკში, ე.წ. "კავკასიური ოთხეულის" წევრი ქვეყნების პარლამენტების ხელმძღვანელთა შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. გუშინდელ შეხვედრაზე ბურჯანაძემ აფხაზეთის პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებული საკითხები დააყენა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ერაყში საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში საქართველოში აშშ-ს დიპლომატიური მისიის დაცვა გაძლიერდება. ამის შესახებ სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურის დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულოების დაცვის სამმართველოს უფროსმა ვლადიმერ ბუნტურიძემ განაცხადა. **პრაიმ-ნიუსი**

# აშშ უსაფრთხოების ზომებს ამკაცრებს

ამერიკის ხელისუფლებამ სანდო წყაროებზე დაყრდნობით განაცხადა, რომ ალ-ქაიდა ახალ ტერაქტებს გეგმავს და უსაფრთხოების ზომები მკვეთრად გაამკაცრა. მთავრობამ მოსალოდნელი საფრთხის ნარინჯისფერი დონე შემოიღო (ამერიკაში საფრთხის დონეების ფერებით აღნიშვნის სპეციალური კოდირებული სისტემა არსებობს).

2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როდესაც საფრთხის დონემ ყვითელი (მისაღები დონე) ნიშნულის ზემოთ აიწია. აშშ-ის გენერალურმა პროკურორმა ჯონ ეშკროფტმა განაცხადა, რომ შედარებით დაუცველი სამიზნეები –ბინები, სასტუმროები, სპორტული დარბაზები და გასართობი პარკები - დიდი რისკის ქვეშ არის.

"დაზვერვის ცნობით, ალ-ქაიდა, შესაძლოა, სატრანსპორტო და ენერგეტიკული ობიექტების აფეთქებას შეეცადოს, რომლებიც ამერიკულ ძალას განასახიერებენ", - აღნიშნა გენერალურმა პროკურორმა.

სადაზვერვო სამსახურების წარმომადგენელთა მტკიცებით, ტერორისტებმა იერიში შეიძლება აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე რომელიმე ქალაქზე მიიტანონ. მათი თქმით, მიზანში, სავარაუდოდ, მეტროს სადგურები და სასტუმროები იქნება ამოღებული.

ტერიტორიული უსაფრთხოების სამინისტროს ხელმძღვანელმა ტომ რიჯმა განაცხადა, რომ, მის ხელთ არსებული ინფორმაციით, "მოსალოდნელი ტერორისტული აქტები განხორციელდება შეერთებულ შტატებსა და მის სასიცოცხლო ინტერესების ობიექტებზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ".

"სიენენი" სადაზვერვო წყაროებზე დაყრდნობით იუწყება, რომ ალ-ქაიდა თავდასხმებს საუდის არაბეთში გეგმავს.

ამავდროულად, გამოძიების ფედერალურმა ბიურომ თხოვნით მიმართა საზოგადოებას, რათა მოქალაქეები პაკისტანელი მოჰამად შერ მოჰამად ხანის ადგილსამყოფელის დადგენაში დაეხმარონ. მართალია, ბიუროს თქმით, მათ კონკრეტული ინფორმაცია არ გააჩნიათ პაკისტანელის რომელიმე პოტენციურ ტერაქტთან კავშირის თაობაზე, მაგრამ მათ მოჰამად ხანის დაკითხვა იმ ზოგადი ინფორმაციის საფუძველზე სურთ, რომელიც გამოძიების პროცესში გაჩნდა.

გფბ-ის თანამშრომლის თქმით, უშიშროების ზომების გამკაცრების ერთ-ერთი მიზეზი ხანის შესახებ ინფორმაციაა. ეშკროფტის ცნობით, ალ-ქაიდას ქსელს "კვლავ გადაწყვეტილი აქვს თავდასხმის განხორციელება ამერიკაზე" და, შესაძლოა, ტერორისტული აქტის ჩატარებას გეგმავდეს ჰაჯის დამთავრებამდე, როდესაც საუდის არაბეთში ქალაქ მექაში მოსალოცად მუსლიმები მთელი მსოფლიოდან ჩამოდიან.

*"24 საათი"*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# გაქცევა სომალიდან

პირველი გვერდიდან

## გაქცევა ბოსაასოდან

**"ბოლო ორი კვირის მანძილზე ჩვენ მუდმივად ვარწმუნებდით მეკობრეებს, რომ გემზე საწვავი ამოიწურა. საწვავი მართლაც ცოტა იყო, მაგრამ იმდენი ყოველთვის გვქონდა, რომ ზღვაში გავსულიყავით. ამ შვიდი თვის მანძილზე გაქცევის უამრავ გეგმას ვაწყობდით, მეკობრეებზე თავდასხმაც კი გვქონდა სერიოზულად გადაწყვეტილი, მაგრამ თბილისიდან ახლობლებმა გადაგვაფიქრებინეს. ერთი სიტყვით, საწვავთან დაკავშირებულ სიტუაციას შეგნებულად ვამუქებდით. გემი თითქმის სულ გათიშული გვქონდა. ჩაბნელებულ გემზე ყოფნა კი ამ ველურებს არ სიამოვნებდათ. ბოლო კვირეებში გემზე, ძირითადად, ის ხალხი იყო დარჩენილი, ვისაც ბერძნების მიერ გამოგზავნილი 80 ათასიდან არაფერი არ შეხვდათ და რაღაცას კიდევ ელოდებოდნენ. მერე ამათმა რიცხვმაც შემცირება დაიწყო. ჯერ - ათ კაცამდე, შემდეგ - შვიდამდე, მერე - ხუთამდე. სამ-ხუთ დღეში ერთხელ ბოსაასოდან ნავით მოდიოდა ორი კაცი და საჭმელი, სასმელი წყალი და ახალი ამბები მოჰქონდა. ბოლოსკენ, უშუქობის გამო, რადიოგადამცემებსაც ველარ იყენებდნენ. ბოლო ერთი კვირის მანძილზე ბოსაასოდან არავინ მოსულა, გემზე ყველაფერი გათავდა, შუქსაც შეგნებულად აღარ ვრთავდით. ამათ ნერვიულობა დაიწყეს, აღარ იცოდნენ, რა ექნათ. ჩვენც ცოტა აგიტაცია ჩავუტარეთ, საწვავი არ გვაქვს, წადით ბოსაასოში, იქნებ ახალი რამე გაიგოთ და ჩვენც გაგვაგებინეთ-თქო. ერთი ოთხი დღე იფიქრეს ამაზე. ბოლოს, როგორც იქნა, დავარწმუნეთ, ხან არტური დაელაპარაკა, ხან ნიკოლაი, ხანაც მე. გემიდან ჩვენი პატარა შხუნა მივეცით, როგორც კი ზღვაში ჩავუშვით, მექანიკოსები უკვე მზად იყვნენ. ღუზა უცებ ამოვიღეთ და ღია ზღვაში გავედით. კაი დიდი ღელვა იყო და ვერ დაგვეწივნენ. ახლაც არ მჯერა, რომ ასეთი რამ მოვახერხეთ, ნამდვილად სასწაული მოხდა,"** – ქართველი მეზღვაურების გმირობის ტოლფასი გაქცევის დეტალები გუშინ გულადი რუხაძემ მოგვიყვა.

მეკობრეებს დადევნება უცდიათ. ბოსაასოს ნავსადგურიდან ორი სწრაფმავალი კატერი დაძრულა, მაგრამ "ჟენლილს" სიჩქარე უკვე აკრეფილი ჰქონდა, თან ძლიერი ღელვაც ყოფილა და ქართველებისთვის ამჯერად ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. **"რამდენჯერმე გვიბრძანეს გაჩერება, მაგრამ გამჩერებლები ვიყავით?! ძაან შორს იყვნენ და მიხვდნენ, რომ ვერ დაგვეწეოდნენ. ახლაც მიკვირს, როგორ არ გვესროლეს, თუმცა მაინც ვერაფერს დაგვიშავებდნენ,"** – გვითხრა არტურ არუთუნიანმა. "ჟენლილი" 7 დეკემბერს, გაქცევის შემდეგ, ორი საათის მანძილზე ღია ზღვაში ხეტიალობდა, ვინაიდან მეკობრეებმა სანავიგაციო მოწყობილობები დააზიანეს. **"ჯერ SOS-ის სიგნალი გადავეცით, გვიან ფოთში ფაქსის გაგზავნა მოვახერხეთ. მერე სატელეფონო კავშირიც აღდგა და გემის მეპატრონეს საბერძნეთში დავუკავშირდით. მან ადენის ყურის სახელმწიფოები და ამჟამად აქ მცურავი გემები ჩააყენა საქმის კურსში. ბოლოს საბერძნეთის გემმა გვიპოვა. შვიდი თვის მერე ნორმალური ადამიანები ვნახეთ. ბერძნებმა ყველაფერი მოგვცეს - საჭმელი, სასმელი, სიგარეტებს ველირსეთ! ასეთი ბედნიერი, მგონი, ჩემს ცხოვრებაში არ ვყოფილვარ,"** – გვითხრა ანატოლი არხანგოროდსკიმ. "ჟენლილი" ამჟამად იემენისკენ მიემართება. **"კიდევ ერთ ბერძნულ გემს შევხდებით, რომელიც საწვავს ჩაგვისხამს. გემის მეპატრონე ხვალ გვეტყვის, რომელ ნავსადგურში შევიდეთ და მერე შემეძლება, გითხრათ, როდის დავბრუნდებით საქართველოში,"** – გვითხრა არტურ არუთუნიანმა.

## საიდ სავას ბანდა

სომალელ მეკობრეთა 30-კაციანი ჯგუფი სალონიკიდან ინდოეთის ნავსადგურ შერვანდში მიმავალ საბერძნეთის გემ "ჟენლილს" გასული წლის 30 ივლისს, გამთენიისას, მაშინ დაესხა თავს, როცა კაპიტანმა ხომალდი საშინელ ღელვას განარიდა და დროებით ქალაქ ბოსაასოს ნავსადგურიდან 17 მილის მოშორებით გააჩერა. **"სხვაგვარად მოქცევა არ შემეძლო, შეიძლებოდა გემი დაღუპულიყო,"** – გვითხრა არუთუნიანმა, რომელმაც კარგად იცის, რომ, გახშირებული მეკობრეობის გამო, სომალის ნაპირებთან 50 მილზე ახლოს მისვლა აკრძალულია. მეკობრეები ხუთი სწრაფმავალი კატერით დაესხნენ თავს "ჟენლილს", მათ გემს ბაგირი მიაბეს და ბაქანზე ჯგუფურად გადაძვრნენ. ისინი, ძირითადად, ავტომატებით იყვნენ შეიარაღებულნი. ქართველებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. თავდასხმელებმა დამტვრეულ ინგლისურ ენაზე ძლივს გააგებინეს დატყვევებულებს, რომ გამოსასყიდს ითხოვდნენ და გემის მფლობელთან დაკავშირება ითხოვეს. **"საბერძნეთს 30-შივე დავუკავშირდით, მაგრამ ბერძნები ამ ამბავს არ ახმაურებდნენ. შემდეგ, სადღაც აგვისტოს ათისთვის, თავად მეკობრეებმა ბოსაასოში, "ბი-ბი-სის" ჟურნალისტის საშუალებით, ეს ინფორმაცია მთელ მსოფლიოს გააგებინეს, სულ თავიდან ერთ მილიონ დოლარს ითხოვდნენ. უნდა გენახათ, რა გახარებული იყვნენ, "ბი-ბი-სიმ" ეს ინფორმაცია რომ გაავრცელა,"** – გვითხრა გულადი რუხაძემ.

ბოსაასო სომალისგან 1990 წლის გამოყოფილი ყოფილი ავტონომიის - პუნტლენდის უდიდესი ნავსადგურია, რომელსაც, მეზობელი ეთიოპიის მხარდაჭერით, პრეზიდენტ აბდილახ იუსუფის **მაჯერტინების კლანი** მართავს. ქართველების დამტყვევებლები ამ კლანში შემავალი უფრო პატარა კლანის – **სიბაქ რუუნის** წარმომადგენლები იყვნენ. პუნტლენდი 1992-93 წლების საქართველოს უფრო გაუარესებული ვარიანტია. რეგიონი კლანებს შორის არის გადანაწილებული, რომლებიც ერთმანეთს დაუნდობლად ებრძვიან, ყველაზე სარფიანი ბიზნესი კი მეკობრეობა და ნარკობიზნესია. **"მეკობრეების ლიდერი იყო საიდ სავა, ასე 60-65 წლის კაცი, ეს ადამიანი მთელ ბოსაასოს აკონტროლებს. ყველა გამოსასყიდიდან და სხვა სახის გამოძალვიდან მასთან მიდის წილი. უფრო დაბალი დონის მეკობრეები იყვნენ - აბდი სავა, აბდი აკი და სავა სავა. ესენი სიტუაციას გემზე ჩვენი დატყვევების დღიდან აკონტროლებდნენ. შემდეგ საქმეში, საიდ სავას მეშვეობით, ჩაერთნენ შუამავლები - შუქური და მოჰამედ იბრაგიმი, რომლებიც ჯიბუტიში მცხოვრები სომალელები არიან. სწორედ მათი ჩართვის შემდეგ დაიწყო მოლაპარაკებები ბერძნებსა და მეკობრეებს შორის,"** – გვითხრა არტურ არუთუნიანმა.

## ვიდეო და არგავარდნილი ქვემეხი

შუამავლები, რეალურად, მოლაპარაკებებში მხოლოდ ნოემბრის დასაწყისისთვის ჩაერთვნენ. აგვისტოში და სექტემბერში კი "ჟენლილზე" თურმე წარმოუდგენელი ამბები ხდებოდა. **"ბერძნებმა როგორც კი გააგებინეს ამათ, რომ არც მილიონის და არც 600 ათასის გაადმხდელები არ იყვნენ და მხოლოდ 80 ათასის გადახდა შეეძლოთ, საიდ სავა თავად ამოვიდა გემზე, დიდი შეკრება მოაწყო და გვითხრა, რომ ჩვენი გემით სხვა გემების დაჭერას აპირებდა; ამიტომაც ეკიპაჟის ყველა წევრი აბდი სავას, აბდი აკისა და სავა სავას უნდა დავმორჩილებოდით. გემზე 50-ზე მეტი მეკობრე ამოყარეს - სულ ავტომატებით, ყუმბარებით, ერთი თვითნაკეთი ქვემეხიც ამოათრიეს, კაი დიდი. და ჩვენი საშინელებაც დაიწყო. სანაპიროდან ხუთი მილის რადიუსში ვმოძრაობდით, ამათ დიდი თევზსაჭერი გემის დატყვევება უნდოდათ. ბრძანებებს საიდ სავა ბოსაასოდან გვაძლევდა. რადგან ნეიტრალურ წყლებში გასვლის ეშინოდათ, ერთი გემიც ვერ დაიჭირეს. უნდა გენახათ, ამ დროს აქ რა ხდებოდა. ამათთვის "ჟენლილი" ნამდვილი ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო იყო. წარმოიდგინეთ, 50 კაცი, რომელსაც სახლში არ აქვს შუქი, საჭმელი, ტელევიზორი, სიგარეტი, ვიდეო... იყო ერთი ღრეობა, უყურებდნენ ვიდეოს, მერე ბოსაასოდან თავიანთი კასეტებიც ამოიტანეს, ჩვენს სიგარეტებს ეწეოდნენ... ატყდებოდა ერთი ამბავი, ხან რაზე ჩხუბობდნენ, ხან რაზე... უამრავი გიჟი ამოდიოდა გემზე... ერთხელ სიკვდილს სასწაულად გადავურჩით: ჩვენ ქვემოთ, ღუზის ჩასაშვებ მოწყობილობასთან გვეძინა, იქვე იდგა მაგათი ამოთრეული ქვემეხი. სექტემბერი იყო, რაღაცაზე იჩხუბეს, ერთი გაბრაზდა, ადგა, მივიდა ქვემეხთან და პირდაპირ ჩვენ მოგვიშვირა, გემის აფეთქება უნდოდა. ის-ის იყო, უნდა გამოეწია ჯაჭვი, რომ უცებ სამი კაცი დაესია და ძლივს გამოათრიეს უკან, არ ვიცი, ღმერთმა გვიშველა თუ რა იყო... შემდეგ ამოჰყავდათ 14-15 წლის ბავშვები, აძლევდნენ ავტომატებს და ჩვენს დარაჯობას ასწავლიდნენ. ერთხელ ერთ ბავშვმა ავტომატის ჯერი შემთხვევით საწვავის ავზისკენ მიუშვა და კინაღამ გემი აგვიფეთქა... ასეთი ფაქტები კიდევ უამრავი იყო,"** – მოგვიყვა გულადი რუხაძე. ამ პერიოდში, "ჟენლილი" ბოსაასოსგან 250 კილომეტრით მოშორებულ სოფელ ბარკალასთან იდგა, შემდეგ კიდევ ერთი არაღიარებული სახელმწიფოს - სომალილენდის ნავსადგურ ბერბერასთან გადაინაცვლა (10 იანვარს უკან, ჯერ სოფელ ჰაგუსთან წამოვიდა, ბოლოს კი ბოსაასოს დაუბრუნდა).

## 100 ათასი დოლარი

ნოემბრის დასაწყისში მოლაპარაკებებში აქტიურად ჩაერთნენ შუამავლები - შუქური, საიდ სავას მხრიდან და მოჰამედ იბრაგიმი - "ჟენლილის" მეპატრონე, ბერძნული კომპანია "პალას ნავიგეიშენის" მხრიდან ("24 საათი" უკვე წერდა, რომ მოჰამედ იბრაგიმი ჯიბუტის სატრანსპორტო კომპანია "ინჩკეიპ შიპინგ სერვისში" მუშაობს. ზ.წ.). ნოემბრის ბოლოსკენ, ფაქსების გაცვლის შემდეგ, მეკობრეები, 85 ათასი დოლარის სანაცვლოდ, გემისა და ეკიპაჟის გათავისუფლებას დათანხმდნენ. "პალას ნავიგეიშენმა" გასული წლის 30 ნოემბერს 100 ათასი დოლარი ჯიბუტის ბანკში გადარიცხა, რომელიც მოჰამედ იბრაგიმმა 15 დეკემბერს გამოიტანა, 15 ათასი თავისთვის დაიტოვა, 85 ათასი კი ბოსაასოსთან ახლოს, სოფელ ბარკალაში შუქურს ჩაუტანა.

**"იბრაგიმთან დაკავშირება თავად მეკობრეებმა გვირჩიეს. მან ნოემბრის ბოლოს ელფოსტით გამოგვიგზავნა წერილი, სადაც გვწერდა, რომ მეზღვაურები უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იყვნენ და თანხის სასწრაფო გადახდას გვთხოვდა. ჩვენც ვენდეთ და 100 ათასი გადავრიცხეთ,"** – გვითხრა "პალას ნავიგეიშენის" ადვოკატმა ნიკოს სოფრასმა.



მარცხნიდან: გულად რუხაძე, ნიკოლოზ პიყოვი, ანატოლი არხანგოროდსკი და ალექსანდრე ჩიჩაძე.

**"იბრაგიმიც და შუქურიც მაგარი აფერისტები იყვნენ. ეგენი ორივე საიდ სავას ხალხი იყო. ბარკალაში, იბრაგიმმა, 85 ათასის ნაცვლად, 56 ათასი ჩამოიტანა, მეტი არ გადმოურიცხიათო. აქ ერთი ამბავი ატყდა, ფული ყველას არ ხვდებოდა და ბერძნებს დაურეკეს, იბრაგიმმა ფული მოგვიტეხა, ეს ფული უკან წაიღეთ და ზუსტად 85 ათასი გამოატანეთო. სინამდვილეში ფული უკვე აღებული ჰქონდათ. ერთი სიტყვით, მთელი ერი საშინელი აფერისტები არიან, მატყუარები, გაუნათლებლები და ველურები. ასეთი ადგილი დედამიწაზე თუ იყო, არც მეგონა,"** – გვითხრა გულადი რუხაძემ. ბოლოს მეკობრეებმა კიდევ ერთხელ იცრუეს, მეზღვაურებს უთხრეს, გემს ვიტოვებთ, თქვენ ან კენიაში - საბერძნეთის საელჩოში გადაგიყვანთ, ან ბოსაასოში სხვა გემზე გადაგსვამთ და სამშობლოში გაგამგზავრებთო. პარალელურად კი, "პალას ნავიგეიშენს" დაურეკეს და კიდევ 15 ათასი დოლარი მოსთხოვეს... თუმცა, აღარ დასცალდათ...

## უნიკალური გაქცევა

225-დღიანი ტყვეობიდან თავის დაღწევა, ისიც გემით და ისიც სომალიდან, თავისთავად უნიკალური შემთხვევაა, – გვითხრა გუშინ საქართველოს მეზღვაურთა პროფკავშირების თავმჯდომარის მოადგილემ დავით მორგოშიამ (ამ ორგანიზაციამ, რომლის ხელმძღვანელიც ანატოლი ჯიჯავაძეა, საქართველოში ყველაზე მეტი გააკეთა ფოთელი მეზღვაურების გასათავისუფლებლად). **"საქართველოს ნაოსნობის ისტორიაში მეზღვაურების დატყვევების ფაქტი აქამდე არ ყოფილა. 225-დღიანი ტყვეობაც, მე მგონი, რეკორდია. სომალიდან გაქცევა კი ნამდვილი გმირობაა. ძალიან გახარებულები ვართ ყველანი ასეთი ბედნიერი დასასრულით,"** – გვითხრა დავით მორგოშიამ. **"ასეთი შემთხვევები, ჰეფი ენდით, როგორც წესი, ძალიან იშვიათად მთავრდება. ძალიან იშვიათად ხდება, რომ ეკიპაჟიც ცოცხალი გადარჩეს და გემის მოძებნაც მოხერხდეს. როგორც წესი, მეკობრეები დატყვევებული გემის ეკიპაჟს შუა ზღვაში პატარა ნავით უშვებენ, საჭმლის, წყლისა და საკომუნიკაციო საშუალებების გარეშე. ეკიპაჟი, უმრავლეს შემთხვევაში, იღუპება. გემს კი სწრაფად გადაღებავენ, ცვლიან სხვა გემში ან ყიდიან ყალბი დოკუმენტების მეშვეობით და შემდეგ ისევ... ატყვევებენ,"** – გვითხრა საერთაშორისო საზღვაო ბიუროს დირექტორმა ნოელ ჩუნგმა. ბიუროს მონაცემებით, ბოლო ათი წლის მანძილზე, როცა მსოფლიოში მეკობრეობა განსაკუთრებით აყვავდა, თავდამსხმელებმა 800-მდე მეზღაური მოკლეს, 300-ზე მეტი კი უგზო-უკვლოდ არის დაკარგული. ყოველწლიურად ზარალი 26-30 მილიარდ დოლარს აღწევს.

**"მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენც ამავეს გვიპირებდნენ. 90 პროცენტით ვიცი, რომ გემის გაყიდვა ან გადაღებვა უნდოდათ. ბეწვზე ვართ გადარჩენილები, ვინ მოგვიკითხავდა საერთოდ?! მაგრამ ახლა მხოლოდ ჩემს ოჯახზე, მეუღლეზე, შვილზე, სიძეზე და ჩემს პატარა შვილიშვილზე - ნინიკოზე ვფიქრობ. ღმერთმა გადმოგვხედა,"** – ამბობს გულადი რუხაძე.



ქალიშვილები მოუთმენლად ელიან მამებს - არტურ არუთუნიანს (გემის კაპიტანი) და ნიკოლოზ პიყოვს (უფროსი მექანიკოსი).




ეკონომიკა

## მეცხრე ბლოკი გათიშვას გადაურჩა, მაგრამ ოთხშაბათამდე



მიხეილ სააკაშვილი მეცხრე ბლოკის გადასარჩენად იბრძვის.

პირველი გვერდიდან

საფასურის დაფარვაში დახმარებისთვის გამოყოფილი თანხებიდან, დაახლოებით, 40 პროცენტი უკვე დახარჯულია. საკრებულოს თავმჯდომარე ამერიკულ მხარეს და "ეი-ი-ეს თელასს" დარჩენილი თანხის თბილისელების ელექტროენერგიით უზრუნველყოფისთვის გამოყენებისკენ მოუწოდებს. ამავე დროს, სააკაშვილის განცხადებით, "ნაციონალური მოძრაობის" საპარლამენტო ფრაქცია ორშაბათს პარლამენტს წარუდგენს კანონპროექტს ენერგეტიკის დარგის დღგ-სგან გათავისუფლების შესახებ, რაც არა მხოლოდ თბილისში, არამედ მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ელექტროენერგიის ტარიფების 20-პროცენტიან შემცირებას შეუწყობს ხელს.

**"სააკაშვილი ნათელაშვილს ეჯიბრება პოპულიზმში, როცა "ეი-ი-ეს თელასისგან" ამ პირობებში ელექტროენერგიის შეზღუდვების თავიდან აცილებას ითხოვს. "ეი-ი-ესი" კი არ იმუქრება, რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე აკეთებს განცხადებას მოსალოდნელი შეზღუდვების თაობაზე,"** – განაცხადა "ეი-ი-ეს თელასის" ლობისტმა ირაკლი მელაშვილმა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის გუშინდელი განცხადების კომენტირებისას. მისივე თქმით, იმას, თუ რა მიმართულებით დაიხარჯება ამერიკული დახმარების დარჩენილი ნაწილი, საქართველოს მთავრობა და USAID-ი გადაწყვეტენ.

რაც შეეხება ენერგეტიკის დარგის დღგ-სგან გათავისუფლებას, მელაშვილის თქმით, ასეთივე ინიციატივა თავად მთავრობაშიც არსებობს და მისი განხორციელება მართლაც მოუტანს შვებას ქართულ ენერგეტიკას. "ეი-ი-ეს თელასის" ლობისტის განცხადებით, დღგ-სგან გათავისუფლების შემთხვევაში, საქართველოს ენერგოობიექტები, რომელთა უმრავლესობა მეტად მძიმე მდგომარეობაშია, გამოთავისუფლებული თანხების რეაბილიტაციისკენ მიმართვას შეძლებენ. გარდა ამისა, ეს ფაქტი ტარიფის შემცირებასაც შეუწყობს ხელს. რომ არა დღგ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საპასუხოდ სემეკ-ის მიერ დადგენილი ახალი ტარიფი, 12.4-ის ნაცვლად, 10.15 თეთრი იქნებოდა.

## „ბრიტიშ პეტროლიუმი" აზერბაიჯანში მიწას ჩალის ფასად ყიდულობს

აზერბაიჯანში სახელმწიფოსა და უცხოურ ნავთობკომპანიებს ორიოდე თვე დარჩათ, რომ ხელშეკრულებები გაუფორმონ ფერმერებს, რომელთა მიწის ნაკვეთებზე გაივლის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (ბთჯ) საექსპორტო ნავთობსადენი. „ბრიტიშ პეტროლიუმმა" უკვე სამი ათასზე მეტი ინდივიდუალური კონტრაქტი გააფორმა მიწის მფლობელებთან.

ბთჯ-ს მშენებლობის სამწლიან პერიოდში აზერბაიჯანში საჭირო იქნება მიწის დერეფანი სიგანით 44 მეტრი და სიგრძით 443 კილომეტრი. გარდა ამისა, გათვალისწინებულია 500X500 მ ზომის ნაკვეთები მშენებელთა ბანაკებისთვის. 15-20-ჰექტრიანი ნაკვეთები გათვალისწინებულია მილების საწყობებისთვის, რომელიც ყოველ 40 კმ-ში შეიქმნება. ბთჯ-თვის საჭირო მიწის ნაკვეთების საერთო ფართობი აზერბაიჯანში 1970 ჰექტარია.

ხელშეკრულებები ძირითადად ითვალისწინებს არა მიწის ყიდვას, არამედ მისი იჯარით აღებას. სხვა სიტყვებით, მიწათმფლობელები შეინარჩუნებენ მიწის საკუთრების უფლებას. უფრო მეტიც, ტექნიკურ დოკუმენტაციაში მილსადენის ექსპლუატაციის ვადად განსაზღვრულია 30 წელიწადი, ხოლო ფერმერებთან ხელშეკრულებას დებენ 60 წლით.

მთავრობათაშორისო ხელშეკრულების თანახმად, მიწის ნაკვეთების შეძენის საკითხებს აზერბაიჯანის მთავრობა აგვარებს. მანვე უნდა გააფორმოს კონტრაქტები მიწათმფლობელებთან. აზერბაიჯანში მიწის საფასური ძალიან დაბალია — ერთ კვადრატულ მეტრზე რამდენიმე ათეული, მაქსიმუმ ასეული მანათი. აქ ითვალისწინებენ ფერმერის მომავალ (თეორიულ) შემოსავალს, რომელსაც ის მიიღებდა ამ ნაკვეთიდან. ფერმერებს ეკითხებიან, რის დათესვას გეგმავდა იგი იმ მიწაზე, სადაც ნავთობსადენი გაივლის და ანგარიშობენ მიახლოებით შემოსავალს, რასაც ის მიიღებდა 60 წლის განმავლობაში. კომპენსაცია დამოკიდებულია მიწის ხარისხზეც.

მიწის საკითხებში არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის კოორდინატორმა სალეხ ჰუსეინოვმა აღნიშნა, რომ მიწის კომპენსაციის საკითხებში საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის საგრძნობი განსხვავებაა.

საქართველოში კომპენსაციის თანხა ბევრად აჭარბებს აზერბაიჯანულ სტანდარტებს, რადგან საქართველოს მიწის კადასტრში ნაკვეთების ღირებულება გაცილებით მაღალია.

სალეხ ჰუსეინოვის თქმით, საქართველოში იჯარით აღებულ 1 ჰექტარში იხდიან კომპენსაციას 35 ათასი დოლარის ოდენობით, ხოლო აზერბაიჯანში ეს ციფრი 500 დოლარს არ აღემატება.

*მედია-ნიუსი.*

## "თბილგაზის" პრივატიზება - პრობლემების გადავადების მცდელობა

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელის რომან გოცირიძის აზრით, "თბილგაზის" პრივატიზებაზე გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მსურველებს შესაბამისი მასალების წარმოსადგენად მცირე დრო მიეცათ, რაც ბადებს ეჭვს, რომ გამარჯვებული წინასწარ არის შერჩეული. გოცირიძის განცხადებით, ერთი თვე "თბილგაზის" მდგომარეობის შესასწავლად არარეალურად მცირე დროა. ამასთანავე, "თბილგაზის" ქალაქის მართვაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულება ცენტრალურ ხელისუფლებასა და ქალაქის მთავრობას შორის დღემდე არ არსებობს, ამიტომ გასარკვევია, რამდენად უფლებამოსილი იყო თბილისის მთავრობა, ასეთი კონკურსი გამოეცხადებინა. გოცირიძის თქმით, სტრატეგიული ობიექტების გასხვისების ან მართვის უფლებით გადაცემის მოუფიქრებლად განხორციელება საქართველოს მხოლოდ ზიანს მოუტანს. "მერიის მიერ "თბილგაზის" მართვის უფლებით გადაცემისას, მართვის ხარჯები არ იცვლება და ეს სხვა არაფერია, თუ არა მწვავე პრობლემის მოგვარების გაურკვეველი დროით გადავადების მცდელობა", - აღნიშნა მან.

*ინტერ-პრესი*

საზოგადოება

# დავით აღმაშენებელი-930, თბილისის უნივერსიტეტი-85





8 თებერვალს რესპუბლიკის მოედანზე და ფილარმონიაში.

*8 თებერვალს წმიდა მეფე დავით მეოთხე აღმაშენებლის ხსენების დღესთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სიონის საკათედრო ტაძარში წირვა გამართა. ეკლესიის გარდა, დავითობა საერო ხელისუფლებამაც აღნიშნა. საქართველოს პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ დავით აღმაშენებლის ძეგლი ყვავილებით შეამკო.*
*8 თებერვალი უნივერსიტეტის დაბადების დღეცაა.*

გუშინ ოპერისა და ბალეტის თეატრში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 85 წლისთავი აღნიშნეს.

დარბაზი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებითა და სტუდენტების მცირე ნაწილით შეივსო. სცენაზე, როგორც წესი, განლაგდნენ: საქართველოს პრეზიდენტი, როინ მეტრეველი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, სახელმწიფო მინისტრი, განათლების მინისტრი...

საზეიმო სხდომა პრეზიდენტის გამოსვლით დაიწყო. მან ისაუბრა "თეთრ ტაძარზე", "დედა უნივერსიტეტზე", მის სახელოვან წარსულსა და არანაკლებ სასახელო აწმყოზე. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ, მართალია, მისი ვიზიტები თსუ-ში საზეიმო შეხვედრებს ემთხვევა, მაგრამ ის მაინც ახერხებს უნივერსიტეტის ყოველდღიურობის და მისი პრობლემატიკის გაცნობას, ახალგაზრდებთან შეხვედრას. უახლოეს ხანებში თსუ მიიღებს ექსპერტის წოდებას ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა ეკოლოგია, სამართალმცოდნეობა, ეკონომიკა - ანუ იმ დარგებში, რომლებშიც ის განსაკუთრებული მიღწევებით გამოირჩევა. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ თსუ-მ უმაღლესი განათლების რეფორმის პირველი ეტაპი წარმატებით გაიარა და დღეს მაგისტრანტების რიცხვით და მათი ნაშრომთა ხარისხით საქართველოს ისევე შეუძლია იამაყოს, როგორც ადრე - დიპლომიანთა რაოდენობით. პრეზიდენტმა უნივერსიტეტის უცხოეთთან კავშირზეც ისაუბრა და არც თსუ-ს სტუდენტებისთვის დაწესებული მისივე სახელობის სტიპენდიის მოხსენიება დავიწყებია, და ბოლოს ისიც დასძინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს მრავალი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი ბრძანდება, მისთვის უმნიშვნელოვანესი და საამაყოა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორობა. პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი იყო და დარჩება ქართული ჯანსაღი აზრის კერად.

პრეზიდენტის შემდეგ საზეიმო სიტყვა წარმოთქვა თსუ-ს რექტორმა, როინ მეტრეველმა. მან მადლობა გადაუხადა პრეზიდენტს და დაბადებიდან 75 წელი, დაგვიანებით, მაგრამ სახალხოდ მიულოცა. მოკლე ისტორიული ექსკურსის, დავით აღმაშენებლისა და უნივერსიტეტის ყოფილი რექტორების გახსენების შემდეგ მან საზოგადოებას ისიც შეახსენა, რომ უნივერსიტეტის გერბის ავტორია პრეზიდენტის მოგვარე, შესანიშნავი მხატვარი, დიმიტრი შევარდნაძე.

საზეიმო შეხვედრას კონცერტი მოჰყვა.

*"24საათი"*

## ჟურნალისტები და არასამთავროები ძალადობის წინააღმდეგ

*საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში გაიმართა პრესკონფერენცია თემაზე - ძალადობა ჟურნალისტების წინააღმდეგ.. პრესკონფერენციის ორგანიზატორი იყო საქართველოს ჟურნალისტ ქალთა ასოციაცია.*

ლელა მარგიანი

7 თებერვალს ჟურნალისტთა მიმართ განხორციელებული ძალადობის წინააღმდეგ გამართულ პრესკონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ქალთა პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების და მასმედიის წარმომადგენლები. საქართველოს ჟურნალისტ ქალთა ასოციაციის ხელმძღვანელმა, ნანა ლომიძემ აღნიშნა, რომ "საქართველოში ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული ძალადობა ეწინააღმდეგება თავისუფალი მასმედიის განვითარებას და აფერხებს ქვეყანაში დემოკრატიულ პროცესებს." ნანა ლომიძის თქმით, ჟურნალისტი მუშაობს საზოგადოებისთვის, მოიპოვებს ინფორმაციას, რომ გააცნოს საზოგადოებას და, როდესაც მას სცემენ მუშაობის პროცესში, ხელს უშლიან და არ აძლევენ მუშაობის საშუალებას - ეს გვაფიქრებინებს, რომ "ყველაფერი ხელისუფლების ბრალია."

პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ ბოლო დროს ძალადობა ჟურნალისტების მიმართ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და საშიში მიმართულება მიიღო. ამის მაგალითია პოპულარული ჟურნალ-გაზეთების ჟურნალისტთა მიმართ ძალადობა, ხოლო ცნობილი ჟურნალისტის, გიორგი სანაიას მკვლელობის არაობიექტურმა გამოძიებამ საზოგადოების პროტესტი გამოიწვია. საზოგადოება ძალიან აღაშფოთა "რუსთავი-2"-ის კორესპონდენტის, თიკო ფეიქრიშვილის ცემის ფაქტმაც.

პრესკონფერენციის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ "ყველაზე დიდი დანაშაული არის დაუსჯელობა, რაც თავად სამართალდამცავებს აძლევს ხელს, რადგან თუ არ იქნება ქვეყანაში დანაშაული, "სამართალდამცავები მშივრები დარჩებიან", - ითქვა შეხვედრაზე. ასევე აღინიშნა, რომ ქვეყანაში გეგმაზომიერად ხდება შიშის დანერგვა. გახშირდა გაბედული, ობიექტურად მოაზროვნე ჟურნალისტების მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმით მათ საქმიანობაში ჩარევა.

პრესკონფერენციის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ საჭიროა კონკრეტული ბრძოლა დაუსჯელობის წინააღმდეგ, რომ ქვეყანაში უნდა გაჩნდეს მოუსყიდავი სასამართლო ხელისუფლება, უნდა იყოს კანონის უზენაესობა.

ამ მიზნით გადაწყდა და შეიქმნა არასამთავრობო სპექტრის წარმომადგენელთა და ჟურნალისტების საინიციატივო ჯგუფი, რომელიც რეგულარულად გამართავს შეხვედრებს და ამ შეხვედრებზე მოიწვევენ - უზენაესი სასამართლოს, პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებს. აღინიშნა, რომ საჭიროა "პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში ძალადობის თემის სერიოზული განხილვა სახელისუფლებო, არასამთავრობო და საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით."

## კონტროლის პალატის გამოხმაურება

*მიმდინარე წლის 7 თებერვალს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნდა ვრცელი ინტერვიუ თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარესთან, ირაკლი ოქრუაშვილთან. აღნიშნულ პუბლიკაციას გამოეხმაურა საქართველოს კონტროლის პალატა. კერძოდ, პალატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის ბიურო აცხადებს:*

ირაკლი ოქრუაშვილი ცრუობს, როდესაც ამტკიცებს, თითქოს კონტროლის პალატას ადგილობრივი ბიუჯეტის კონტროლის უფლება არ გააჩნია.

"საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონის 83-ე მუხლის თანახმად, ადგილობრივი ბიუჯეტის კონტროლის ადგილობრივი ორგანოების შექმნისა და ფუნქციონირების წესები უნდა განსაზღვრულიყო შესაბამისი კანონით, რომელიც დღემდე არ არის მიღებული. ამასთან, მითითებული მუხლი ითვალისწინებს კონტროლის პალატის მიერ ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების სახსრების კონტროლის წესის შეცვლას და არა კონტროლის პალატისათვის ამ ფუნქციის შეკვეცას ან ჩამორთმევას. აღსანიშნავია ისიც, რომ კანონის იგივე მუხლი წესების შეცვლას ითვალისწინებს, მხოლოდ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ადგილობრივი ორგანოების არჩევნების შემდეგ. დღევანდელი სამწუხარო რეალობიდან გამომდინარე, ქვეყნის სოლიდურ ნაწილში (აფხაზეთი, სამაჩაბლო) ადგილობრივი არჩევნები არ ჩატარებულა და, შესაბამისად, 83-ე მუხლის პირობებიც არ არის შესრულებული.

რაც შეეხება ირაკლი ოქრუაშვილისადმი დაქვემდებარებული სარევიზიო კომისიის კომპეტენციას ამ სახის კონტროლის განხორციელებასთან მიმართებაში, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ იუსტიციის სამინისტრომ, თავისი 2002 წლის 20 დეკემბრის ნომერ 01-23-12 წერილით, უარი უთხრა თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის მაკონტროლებელ ორგანოდ რეგისტრაციაზე იმ მოტივით, რომ სარევიზიო კომისიის კომპეტენციის ფარგლებს სცილდება პირდაპირი საფინანსო კონტროლის განხორციელება მეწარმე სუბიექტების, მათ შორის თბილისის მუნიციპალური საწარმოების სამეწარმეო საქმიანობაზე. ამასთან, სარევიზიო კომისია არ განეკუთვნება "სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ" კანონით გათვალისწინებულ არცერთ ორგანოთა კატეგორიას. საწარმოს საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაზე კონტროლს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ახორციელებენ მხოლოდ საგადასახადო ორგანოები და კონტროლის პალატა. კონტროლის პალატის შესაბამის უფლებამოსილებაზე საუბარია, აგრეთვე კანონებში: "საბიუჯეტო სისტემებისა და უფლებამოსილებათა შესახებ", "სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ", "პრივატიზაციის შესახებ" და სხვა საკანონმდებლო თუ კანონ ქვემდებარე ნორმატიულ აქტებში.

ირაკლი ოქრუაშვილმა, რომელიც საკუთარ თავს წარმატებულ იურისტად წარმოადგენს, უნდა უწყოდეს, რომ ნებისმიერი ბრალდება, კონკრეტული მტკიცებულებების გარეშე, ცილისწამებაა და სხვა არაფერი.

## 30-მეგავატიანი პროექტი

საქართველოს პრეზიდენტის დავალებით, ტყიბულში 30-მეგავატიანი თბოელექტროსადგურის მშენებლობის პროექტი მზადდება. თბოსადგურმა ს/ს "ზესტაფონის ფეროს" ელექტრომომარაგება უნდა იტვირთოს. პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილებას ტყიბულში ეჭვის თვალით უყურებენ, რადგან 125-მეგავატიანი თესის მშენებლობა, რომელიც წელს, 3 მარტს უნდა დასრულებულიყო, დღემდე დაწყებულიც არ არის. "რატომ გვიგდებს მასხრად საქართველოს პრეზიდენტი, რა დავუშავეთ?", - განაცხადეს ტყიბულის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რომლებიც დღეს რაიონში თესების მშენებლობასთან დაკავშირებით შექმნილი ვითარების გარკვევის მიზნით შეიკრიბნენ. ოთხი წლის წინ ედუარდ შევარდნაძემ ლენტი გაჭრა და 11 ათას ტყიბულელს დასაქმება მიულოცა, თუმცა, რეალურად, თესზე მხოლოდ ერთი კაცი – დარაჯია დასაქმებული, რომელიც პრეზიდენტის მიერ გახსნილ მემორიალურ დაფას, წარწერით - "აქ აშენდება ტყიბულის თბოელექტროსადგური" - იცავს.

*ინტერ-პრესი*

## 26 მილიონიანი პროგრამა

26 მილიონი დოლარის ღირებულების სოციალური რეფორმების სამწლიანი პროგრამა, რომელიც სომხეთში მიმდინარეობს და ვადა ამა წლის ივნისში უმთავრდება, გაგრძელებული იქნება.

ეს პროგრამა, რომელსაც სომხეთის მთავრობა USAID-თან ერთად ახორციელებს, ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის სფეროში მომსახურების ხარისხის ამაღლების, საპენსიო, სოციალური დაზღვევისა და სოციალური დახმარების სისტემის რეფორმირებისკენ არის მიმართული.

სხვათა შორის, 1988 წლიდან 2002 წლის 1 დეკემბრამდე სომხეთში დაფიქსირებულია შიდს-ით ინფიცირებული 217 ადამიანი, რომელთა შორის 207 სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეა. სომხეთის ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, ინფიცირებულთა შორის 163 მამაკაცია, 44 - ქალი, ბავშვი - 3. სომხეთში შიდს-ით დაინფიცირების ძირითადი გზაა ნარკოტიკების ინექციური მიღება.

*კავკას-პრესი.*

# ჩიჩერინას ლირიული როკ-ენ-როლი

## დღეს რუსი ვარსკვლავი თბილისში იმღერებს

მადი სერებრიაკოვა

იულია ჩიჩერინა მთელი მისი (ორწლიანი!) კარიერის მანძილზე "დიდი ბავშვის" საზოგადოებრივ იმიჯს იმტკიცებს: მხიარულად იცინის, გაჰკივის ენერგიულ სიმღერებს და შიგადაშიგ გიტარისტს ტორტსაც შეაზელს ხოლმე სიფათში. მიუხედავად ამისა, მან უკვე სამი ალბომის ჩაწერა მოასწრო და მის სიმღერებზე შექმნილმა კლიპებმა კი სამჯერ მოიპოვეს MTV-ის საუკეთესო ნამუშევრების წოდება პოპულარულ პროგრამაში 12 злобных зрителей. დღეს იულია ჩიჩერინა თბილისში, "აჭარა მიუზიკ ჰოლში" იმღერებს.

ბავშვობაში ჩიჩერინა თურმე მხატვრობაზე ოცნებობდა. მოგვიანებით, როდესაც იგი ეკატერინბურგის ხელოვნების სკოლაში სწავლობდა, სპეციალობა შეიცვალა და მუსიკის ფაკულტეტზე გადავიდა. სხვათა შორის, ამ უკანასკნელის დამთავრება მან სულ ცოტა ხნის წინათ, უკვე ვარსკვლავის სტატუსით შეძლო. სიმღერის გამოცდაზე საკუთარი ჯგუფით წარსდგა, დირიჟორობაში კერძო გაკვეთილებს იღებდა. თეორიულ საგნებს კი კონცერტიდან კონცერტამდე, ჩაწერიდან გადაღებამდე მცირე შუალედებში ამზადებდა. რა თქმა უნდა განათლების წარმატებით დაგვირგვინებაში ჩიჩერინასთვის უნიჭობას არ შეუშლია ხელი. პირველი აკადემიური შვებულება მომღერალმა ბავშვის დაბადების გამო აიღო, ცოტა ხანში კი პოპულარობა დაატყდა თავს და სწავლისთვის ვინღა მოიცლიდა?!

მუსიკოსობა ჩიჩერინამ ჯგუფ "სიდიეზში" დასარტყამ ინსტრუმენტებზე დაკვრით დაიწყო. კარიერის დასაწყისი როკ-ენ-როლის ეტიკეტის სრული დაცვით აღინიშნა: რეპეტიციები ეკატერინბურგის ერთ-ერთი ქარხნის ტერიტორიაზე, ჯგუფის წევრებთან ერთად საკუთარი კლუბის გახსნა, სადაც მენეჯერიცა და დამლაგებლებიც თვითონ იყვნენ, უფულობისას ქუჩაში აფიშების გამკვრელად მუშაობა და ა.შ... დრამერის მეორეხარისხოვანი როლი ჩიჩერინასთვის შესაფერისი არ აღმოჩნდა და 1997-ში იგი ვოკალისტის როლში მოგვევლინა. ამ პერიოდიდანვე იწყება მისი ჯგუფის ოფიციალური ისტორიაც,



ჩიჩერინა



БИ-2-თან ერთად

თუმცა ფართო მსმენელმა ის ორიოდე წლის წინათ გაიცნო.

ჩიჩერინას ჯგუფი 5 წევრისგან შედგება: დროფი, აზატი, ალექსანდრ ბური, მაქსიმ მიტენკოვი და თავად იულია. მისი რეპერტუარი პოპსა და მსუბუქ ალტერნატივას შორის მერყეობს. რა თქმა უნდა, ყველაფერს ცოცხლად მღერის და სიმღერებსაც წერს. თუმცა "კომბლებს თლის და ჭერში აწყობს" პრინციპით, ამ უკანასკნელთ დიდ ხანს არავის აჩვენებდა. ჩიჩერინას ძირითადი ჰიტები სხვა კომპოზიტორების დაწერილია.

პირველ წარმატებას ჩიჩერინამ ტიუმენში ქალი ვოკალისტების ფესტივალზე "სირინ" მოპოვებული გამარჯვების წყალობით მიაღწია. ამის შემდეგ დაიწყო ჯგუფის გასტროლები დასავლეთ ციმბირის ქალაქებში. მათი სიმღერები ჯერ ადგილობრივ რადიოსადგურებში დატრიალდა, შემდეგ კი ცნობილ პროდიუსერთან მიხაილ კოზირევთან მოხვდა, რომელმაც პირველი ჰიტი Сорок тысяч километров მოსკოვში, Наше радио-ს ეთერში მოათავსა. მალე ჯგუფმა კონტრაქტი Real records-თან გააფორმა და მოსკოვში გადაბარგდა. პირველი ალბომიდან Сны სამი სიმღერა Ту-Лу-Ла, Жара, Уходя-Уходи მაშინვე ჰიტად იქცა. ვიდეო-კლიპები კი MTV-ს საუკეთესო ნამუშევრებად დასახელდა.

მეორე ალბომი Течение ჩიჩერინამ უკვე გარეშე პროდიუსერის დახმარების გარეშე ჩაწერა. პირველისაგან განსხვავებით მეორე უფრო "სერიოზული" გამოდგა. ერთ-ერთმა კრიტიკოსმა მას "ლირიული დეპრესიის ფოტოანაბეჭდი" უწოდა. აქ იგი "თავში დაბერილი ქარისა" (Ту-Лу-Ла) და "სტაფილოსფერი ბლუზის" (Жара) ნაცვლად, "ცრემლების ნამქერზე" (Сама) და "უკანასკნელ ორბიტაზე" (На Грани) ამღერდა. ახალი ალბომიდან პირველად Блюдца იქცა ჰიტად. 30 იანვარს კი Сама-ზე შექმნილი კლიპის ინტერნეტ-პრეზენტაცია შედგა. კლიპის გადაღება საინტერესო თავგადასავლით აღინიშნა: ის პოდმოსკოვიეს ტყეში, აბრამცევოს დასახლებაში მიმდინარეობდა. გადამღებ ჯგუფს პატარა ფინური სახლი მოეწონა. სახლის ბინადარმა ბინა უფასოდ დაუთმო. კოლექტივმა კი მთელი სახლი და ლამაზად დათოვლილი მიმდებარე ტერიტორია ერთიანად მოტკეპნა. კლიპის სცენარის მიხედვით კი ჩიჩერინამ მთელი სახლი, ავეჯი და საოჯახო ნივთები თანდათანობით თოვლში გამოზიდა. ხოლო იმას თუ რას აკეთებდა ჩიჩერინა მომთმენი მასპინძლის გამოცარიელებულ სახლში – ამას კლიპის ნახვისას გავარკვევთ.

გარდა სტუდიური ალბომებისა, კიდევ ერთი "ცოცხალი" ალბომია გამოსული. მას Точки ჰქვია და 19 ბილიკისგან შედგება. გარდა ორი ძველი ალბომის სიმღერების ცოცხალი შესრულებისა, მასში შესულია Дорога (საუნდთრექი ფილმისთვის "გლადიატრიქსი") და, რაც მთავარია, ჩიჩერინას ალბათ საუკეთესო სიმღერა Мой рок-н-ролл, რომელსაც დუეტში ასრულებს Би-2-სთან ერთად.

დღეს, "აჭარა მუზიქ ჰოლში" წასვლის კანდიდატთა გასამხნევებლად უნდა ითქვას, რომ ჩიჩერინა ძალზედ წარმატებულ საკონცერტო მოღვაწეობას ეწევა. იგი რეგულარულად გამოდის რუსეთში ერთ-ერთ ყველაზე მასობრივ ფესტივალზე Нашествие. გასულ წელს კონცერტები 30 და 70 ათასი მაყურებლის წინაშეც გამართა. ბოლო დრომდე კი მისი ტურნეები "100 დღის" სახელით იყო ცნობილი.

# „ორბი" ოკეანის გადაღმა

ნანა ბასილაშვილი

კულტურის ცენტრთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი "ორბი" 18 თებერვალს საგასტროლოდ სამხრეთ ამერიკაში მიემგზავრება. გვატემალაში ანსამბლი ხუთ კონცერტს გამართავს.

2002 წელს "ორბი" 40 დღიან ლათინო-ამერიკულ ტურნეში იმყოფებოდა; ვენესუელა, პერუ, სალვადორი, კოსტა-რიკა, ნიკარაგუა, ჰონდურასი, ესპანეთი. ამჯერად გვატემალაში, პატარა ქართველი მოცეკვავეები, ორ განყოფილებიანი კონცერტით, ანუ 18 საცეკვაო და ერთი მუსიკალური ნომრით წარსდგებიან. ბავშვების შემადგენლობა წინა გასტროლებთან შედარებით შეიცვალა. "ცოტა დავაპატარავეთ სიმაღლეც, ასაკიც და რაოდენობაც. ამჯერად 8-12 წლის მოცეკვავეებმა უნდა გვასახელონ" - მითხრა ანსამბლის ხელმძღვანელმა. ამ შემთხვევაში სამგზავრო ხარჯებიც შემცირდება, რომელსაც მთლიანად (და არა მარტო გზის ხარჯებს) მასპინძელები ითავებენ.

ტურნეს ორგანიზატორი, მსოფლიოში ცნობილი ამერიკელი იმპრესარიო "ინტერ პორანე პროდუქსიონ არტისტიკის" წარმომადგენლებთან, ანა და პერსი ლიონისებთან დაახლოვებული პირი, ემზარ გაბელია გახლავთ. ანსამბლი სწორედ პერსი და ანა ლიონისებისა და სალვადორის იმპრესარიოს, ერიკ ზედანის მიწვევით მიემგზავრება. ერიკ ზედანთან, რომელიც ამჟამად კონცერტს გვატემალაში მართავს, "ორბი" უკვე ორი წელიწადია თანამშრომლობს. შარშან მისი მიწვევით ანსამბლი სალვადორში იმყოფებოდა. თებერვლის ტურნეში მექსიკასა და პერუს კონცერტებიც იგეგმებოდა, მაგრამ მექსიკაში მომხდარი მიწისძვრის გამო, ეს გასტროლი ივლისისათვის გადაიდო. ჯერჯერობით კი "ორბი" არასრული შემადგენლობით (30 ბავშვი და მუსიკოსები), კიდევ ერთხელ გაემგზავრება ოკეანის გადაღმა.

აპრილში ანსამბლი კვლავ გასტროლებზე, ამჯერად საბერძნეთში გაემგზავრება. "ორბის" ხელმძღვანელი გია დავითაშვილი ასეთ "სისხლსავსე ცხოვრებას" მათ მენეჯერს, ანზორ გაბელაიასა და რასაკვირველია ნიჭიერ ბავშვებს "აბრალებს".

## მოკლედ

### ცნობები კულტურის სამინისტროდან

ბრიტანეთის საბჭოს საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორმა ქალბატონმა ჯო ბაკოვსკიმ სესილი გოგიბერიძე 24 მარტს საბჭოს ახალი ოფისის გახსნის ცერემონიაზე მიიწვია. მანამდე კი, 11 თებერვალს საბჭოს ორგანიზატორობით გალერეა TMS-ში ფოტოგამოფენა გაიხსნება.

14 თებერვალს სესილი გოგიბერიძე მიემგზავრება სტრასბურგში, სადაც ევროსაბჭოს ქვეყნების კულტურის მინისტრთა კოლოქვიუმი გაიმართება თემაზე: "ინტერკულტურული დიალოგი და კონფლიქტების თავიდან აცილება". როგორც სამინისტროში დაგვპირდნენ, სამშობლოში დაბრუნებისთანავე სესილი გოგიბერიძე ვიზიტის შედეგებზე აუცილებლად გაგვესაუბრება.

*"24 საათი"*

### მსახიობის საიუბილეო სამზადისში

24 თებერვალს აღინიშნება გიორგი გეგეჭკორის დაბადებიდან 80 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით კულტურის სამინისტრო ქართველ მსახიობს ღირსების ორდენზე წარადგენს. მსახიობი უკვე მეორედ დაჯილდოვდება ამ ორდენით. საიუბილეო ღონისძიება, სავარაუდოდ, ან კინოთეატრ "ამირანში", ან ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართება.

*"24 საათი"*

### "მწვანე ოთახი" ახალ კლიპზე მუშაობს

სტუდია "ქართულ ჩანაწერებში" ჯგუფი "მწვანე ოთახი" მორიგი კლიპს იღებს. კლიპის რეჟისორია ბასა ჯანიკაშვილი. რეჟისორის თქმით, ვიდეორგოლში მონაწილეობას მიიღებს ორასამდე ადამიანი. ხოლო, მასზე მუშაობა, სავარაუდოდ, ორ კვირაში დასრულდება. კლიპი "ყვითელი მდინარე", იქნება პირველი მუსიკალური ვიდეორგოლი, რომლითაც ჯგუფი ახალი ალბომის სარეკლამო კამპანიას დაიწყებს. თვითონ ალბომის გამოსვლა მარტშია დაგეგმილი.

*"24 საათი"*

### კომპოზიტორი მომღერლის კარიერას იკეთებს

რუსა მორჩილაძე მომღერლობას აპირებს. იგი მალე ექვს ახალ საკუთარ სიმღერას ჩაწერს. ხოლო, სტუდიური მუშაობის დასრულების შემდეგ, მომღერლებთან - ლელა წურწუმიასა და აჩი ფურცელაძესთან ერთად ამერიკაში გაემგზავრება. ნიუ იორკსა და ნიუ ჯერსში ქართველი მომღერლების კონცერტებია დაგეგმილი. მორჩილაძის რამდენიმე ახალი სიმღერის პრემიერა ამერიკაში გაიმართება. მოგვიანებით კი კომპოზიტორი თბილისში საკუთარი სიმღერების ალბომსაც გამოუშვებს.

*"24 საათი"*

# უძველესი პერსონაჟები ახალი ინტერპრეტაციით

თეონა ჯაფარიძე

თუ აქამდე გალერეა "შარდენი", დღიდან არსებობისა, ხელოვნების უძველესი ჟანრის – ტიხრული მინანქრის ტექნიკის თანამედროვე ვარიაციებისა და თანამედროვე, უჩვეულო თემატიკის დემონსტრირებას მიმართავდა, გუშინდელ გამოფენაზე საზოგადოებამ ახალი ტექნიკით შესრულებული უძველესი პერსონაჟები და სიუჟეტები იხილა. გალერისტები "შარდენიდან," რომლებიც უკვე 1997წლიდან მუშაობენ ამ ჟანრზე, თვლიან , რომ თანამედროვე ქართული მინანქრის ხელოვნებაში, "რომელმაც სულ რაღაც რამოდენიმე ათეული წელია რაც ფეხი მოიკიდა," უკვე შესაძლებელია საუბარი რელიგიურ თემაზე შექმნილ ნიმუშებზეც: კანონიკურ ხატებსა თუ სარიტუალო დანიშნულების ნივთებზე. გამოფენაზე მისულმა დამთვალიერებელმა, რომელთა უმეტესობაც კარგად იცნობს საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცულ მსოფლიოში სახელგანთქმულ ტიხრული მინანქრის კოლექციას, გუშინ ახალი ტიპაჟებით წარმოდგენილი ძველი რელიგიური სიუჟეტები იხილა: გალერეა "შარდენის" საგამოფენო ვიტრინებში მაცხოვრის არასტანდარტულგამოსახულებიანი ჯვარცმები და წმინდანთა სიმკაცრეს მოკლებული მინიატურული მედალიონები გამოიფინა. ერთი შეხედვითვე თვალში საცემია ის, რომ ამ ნამუშევართა ავტორები, (რომელთაგან ერთ-ერთი მათგანი მონაზონი ნინო ავაზაშვილია) შორს არიან რელიგიური დოგმებისა და შტამპებისაგან. სწორედ ეს თავისუფლება ანიჭებს მათ შემოქმედებას ნამდვილ რელიგიურ ხასიათს. "თავად მხატვრობა უკვე რელიგიაა. მისი შექმნის პროცესში ჩვენ მართლაც ყველაფრისაგან თავისუფლები ვართ" – ამბობს მხატვარი ია გიგოშვილი. ვიტრინასთან კი, სადაც მხატვარ ზაზა ლოდიას ნამუშევრებია წარმოდგენილი, სამღვდელოების წარმომადგენელს ელიმება, მხატვარი კი ტიხრული მინანქრით შესრულებულ ჭიანჭველას გამოსახულებაზე ამბობს, რომ ის ნოეს კიდობანიდანაა.

ამ გამოფენაზე მოხვედრილები ნამდვილად იგრძნობთ "დროთა კავშირის რღვევასა" და ახალ ხედვას: რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში თანამედროვეობა და დროის შეგრძნება სწორედ ამ უძველესი ჟანრის თავისუფალ ინტერპრეტაციაში იგრძნობა.







# ნორმალურ ქვეყნებში სახელმწიფო პოლიტიკას, ფაქტობრივად საზოგადოება განსაზღვრავს

ბაკურ სულაკაური
*გამომცემელი*

**1. თქვენი აზრით, რაზეა დამოკიდებული კულტურის აქტივობა, რა არის ყველაზე გამომწვევი (სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან) ფაქტორი კულტურისთვის, რით შეუძლია მას უპასუხოს ამგვარ გამოწვევებს?**

**2. როგორ ფიქრობთ, შეიცვალა თუ არა რაიმე ქართულ კულტურაში ახალი საუკუნისა და ახალი ათასწლეულის მიჯნაზე? იქნებ დაგვისახელოთ უკანასკნელი წლების ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა.**

**3. ამჟამად რას კითხულობთ, რას უსმენთ, რომელ გამოფენას ეწვიეთ ან რომელი სპექტაკლი თუ ფილმი ნახეთ ბოლო დროს?**

**1.** კულტურის აქტივობა დამოკიდებულია, ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა გარეშე ფაქტორებზე. ანუ ზოგადად, ქვეყანაში არსებულ წყობაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს პატარა ქვეყნებისათვის, რადგანაც დიდ ქვეყნებში, იქ, სადაც დიდი ბაზარია, ასე ვთქვათ, კომერციული ტიპის მიდგომა კულტურის სხვადასხვა დარგში გადარჩენის საშუალებას იძლევა. ისეთი დარგიც კი, როგორიცაა თეატრი, ოპერა, სიმფონიური მუსიკა და ა.შ. შეიძლება მომგებიანი იყოს. მაგრამ იქ, სადაც პატარა ბაზარია, კულტურის მთელი რიგი დარგები, სახელმწიფოს მხრიდან ზრუნვასა და დახმარებას საჭიროებს. შეიძლება ეს არ იყოს ფინანსური დახმარება. როგორც კი ჩვენ ეკონომიკური ფორმაციიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადავედით, ამან კულტურის მთელ რიგ დარგებში თავიდან ჩავარდნა გამოიწვია. თუმცა, ზოგიერთ სფეროში, პირიქით, უკეთესი შედეგი გამოიღო. თავისთავად



ეს ცვლილება იყო გამოწვევა, რომელმაც ზოგიერთ დარგში, მაგალითად წიგნის სფეროში, ძალიან გაამართლა. აქაც იყო სტაგნაცია და საკმაოდ დიდი ჩავარდნა. თუმცა, დღეს ვერ ვიტყვით, რომ უარესი მდგომარეობაა, ვიდრე ადრე იყო. ასევეა ალბათ რამოდენიმე დარგი, მაგრამ ცხადია არსებობს მთელი რიგი დარგები კულტურისა, რომელთაც უბრალოდ დახმარება სჭირდება. სახელმწიფოს, გარკვეულწილად, მოქმედების პოლიტიკა უნდა ჰქონდეს შემუშავებული. ბევრი რამ, რასაკვირველია საზოგადოებაზეცაა დამოკიდებული. ყველა ნორმალურ ქვეყნებში სახელმწიფო პოლიტიკას, ფაქტობრივად საზოგადოება განსაზღვრავს. სწორედ საზოგადოების აქტივობაზეა, მის მოქნილობასა და ეფექტურობაზეა დამოკიდებული, ჩამოყალიბდება თუ არა სახელმწიფო პოლიტიკა. მაგალითად, დღეს უმძიმეს მდგომარეობაშია მუზეუმები, ბიბლიოთეკები. ეს სფეროები, ფაქტობრივად ფორმალურად არსებობს და სულს ღაფავს, რადგანაც არანაირ დახმარებას არ იღებს. არადა კულტურის პირველი ფუნქციაა, რათა მოხდეს კონსერვაცია, ინფორმაციის შენახვა და იგი ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდეს.

**2.** ყველაფერი ძალიან შეიცვალა, ისევ და ისევ საზოგადოებრივი წყობის ცვლილების გამო. ბუნებრივია, ამან ძირეული ცვლილებები გამოიწვია. გარკვეული როლი ითამაშა გარეშე ფაქტორებმაც, როგორიცაა დამოუკიდებლობა, საბაზრო ეკონომიკა, ინტერნეტის ეპოქის დაწყება, საინფორმაციო ტექნოლოგიები, გლობალიზაცია. ყველაფერმა ერთად ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია. თვალი რომ გადავავლოთ, ქართულ კულტურაში დღეს ყველაფერი სულ სხვანაირია, ვიდრე იყო თუნდაც საუკეთესო წლებში. მაგალითად 70-იან წლებში, აყვავების ხანაში. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის, ან ეს დრო უკეთესია, ან უარესი, უბრალოდ, პირობებია სხვადასხვა, სხვა ტიპის გამოწვევებია და სხვანაირად მოქმედებენ. ჩემი აზრით, ეს ბუნებრივი მოქმედებებია, როგორც ყველა სხვა ქვეყანის კულტურული მოღვაწეები. არაბუნებრივი სწორედ 70-იან წლების ცხოვრება იყო, თუმცა შედეგი ჰქონდა, ამას ვერავინ უარჰყოფს. პრინციპში ბოლო ათასწლეულის მიჯნაზე, ყველაფერი ერთად აღებული მნიშვნელოვანი იყო.

**3.** თეატრში თითქმის არ დავდივარ. კინოში იშვიათად, საბავშვო ფილმებზე შვილები მიმყავს ხოლმე. გამოფენებზეც ძალიან იშვათად დავდივარ, არც კი მახსოვს ბოლო დროს როდის ვიყავი. რაც შეეხება კითხვას, ძალიან ბევრს ვკითხულობ და ჩამოთვლას აზრი არ აქვს. მაგალითად ბოლო ერთ კვირაში შვიდი წიგნი წავიკითხე. დღეში სულ ცოტა ერთ წიგნს ვკითხულობ, ხანდახან ორს. თუ მუსიკის მოსმენა მინდა, ვუსმენ "პირველ რადიოს", "მწვანე ტალღას", ან რადიო "იმედს".

## კალენდარი

### 9 თებერვალი



ალბათ გახსოვთ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი (რიგით მესამე - მელ გიბსონისა და დენი გროვერის შემდეგ) ცნობილი ფილმიდან "სასიკვდილო იარაღი", დაბალი ტანის, მუდამ მხიარულ გუნებაზე მყოფი კაცი, რომელიც ყოველთვის არაორდინალურ სიტუაციებში ამოყოფს ხოლმე თავს და თვითონაც არაორდინალურად და არასერიოზულად იქცევა. ამ მსახიობს კინომოყვარულები კარგად იცნობენ – ეს ცნობილი კომიკოსი ჯო პეშია.

ჯო (ჯოზეფ) პეშიმ მსახიობობა, ფაქტობრივად, ოთხი წლის ასაკში დაიწყო. მაშინ პატარა ჯო რადიოპროგრამაში მონაწილეობდა. 10 წლისა იყო, როცა სატელევიზიო გასართობ პროგრამაში, "ვარსკვლავების დროის ბავშვები", გამოჩნდა. 60-იან წლებში ჯო პეში ჯო რიჩის ფსევდონიმით გაიცნეს, როდესაც მან ჩაწერა გრამფირფიტა "პატარა ჯოს, რა თქმა უნდა, შეუძლია სიმღერა". მომავალმა მსახიობმა თავისი კარიერის დასაწყისში შოუბიზნესის თითქმის ყველა სფეროში მოსინჯა ბედი. ჯერ გიტარაზე უკრავდა და ჯოი დისთან ერთად გამოდიოდა სცენაზე, იყო ჯგუფ "სტარლაიტერის" გიტარისტი. მერე ჯომ და მისმა მეგობარმა ფრენკ ვინსენტმა ღამის კლუბის კომედიური შოუ ჩამოაყალიბეს. ამას მოჰყვა პეშის კინოდებიუტი 1975 წელს ფილმში "სიკვდილის კოლექციონერი".

პეშის პირველ მცდელობას კინოში დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია, როგორც ჩანს, თავად მსახიობმაც ჩათვალა, რომ ამ მცდელობიდან ბევრი ვერაფერი გამოვიდა და კინოს თავი მიანება. პეში ნიუ იორკში დაბრუნდა და იტალიური რესტორანი გახსნა. დღეს უკვე პოპულარულ კომიკოსს წარმატება ცოტა მოგვიანებით ეწვია, როდესაც პეშის პირველი ფილმი ცნობილმა ვარსკვლავმა ნახა და აღფრთოვანებული დარჩა მისი მსახიობური ნიჭითა და ოსტატობით. ეს იყო რობერტ დე ნირო. დე ნირომ თავისი შთაბეჭდილებები რეჟისორ მარტინ სკორსეზეს გაუზიარა. სკორსეზემაც აღარ დააყოვნა და ჯო თავისთან მიიწვია. ფილმში "მძვინვარე ხარი" პეშიმ დე ნიროს ძმის როლი ითამაშა. ასე დაუბრუნდა პეში კინოს 1980 წელს და ასე დაიწყო მისი ნამდვილი და წარმატებული კარიერა. ამ როლისთვის მსახიობმა რამდენიმე კინოპრემია მოიპოვა.

სკორსეზე-პეშის ტანდემი ამით არ დასრულებულა. "მძვინვარე ხარს" მოჰყვა "კარგი ბიჭები" და "კაზინო". რეჟისორისა და მსახიობის თანამშრომლობა ძალიან ნაყოფიერი გამოდგა: შეიქმნა სამი შესანიშნავი ფილმი და, ამასთან, ამ პერიოდიდან დაიწყო პეშის პოპულარობა.

ჯო პეშის მიერ განსახიერებული გმირები, ძირითადად, ორ ტიპად შეიძლება დაიყოს: ნერვიული და ყოვლისმცოდნე გაიძვერა (სხვათა შორის, პეშიმ 1995 წელს MTV-ს ასეთ კინონომინაციაშიც კი გაიმარჯვა – საუკეთესო არამზადა, ფილმი "კაზინო") და მოუხერხებელი, დაბნეული, სასაცილო კაცი.

ამერიკელი მსახიობი **ჯო პეში** 1943 წლის 9 თებერვალს დაიბადა ნიუ ჯერსიში. 60 წლის ასაკშიც ის თავს ისე გრძნობს, როგორც ახალგაზრდობაში – არასოდეს არ კარგავს იუმორის გრძნობას.

კალენდარი

## 9 თებერვალი



**1928 – დაიბადა რინუს მიხელსი - გამოჩენილი ჰოლანდიელი მწვრთნელი; "ტოტალური" ფეხბურთის ფუძემდებელი.**

**1930 – ბავარიაში გაიმართა პირველი საავტომობილო რბოლა ყინულზე.**

**1957 – დაიბადა გორდონ სტრაჩანი - ინგლისელი ფეხბურთელი, მწვრთნელი.**

**1973 – დაიბადა სვეტლანა ბოგინსკაია - ბელორუსი ტანმოვარჯიშე, მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი.**

მოკლედ

### კანი და რეკორდები

დღეს მსოფლიოში უკვე აღარავინ ფიქრობს, რომ გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის "ბაიერნის" ერთ დროს სუპერწარმატებული მეკარე, ოლივერ კანი დაუძლეველი და შეუცდომელია. ბუნდესნაკრების კაპიტანს აღარც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად ასახელებს ვინმე. ის კი არა, "ბაიერნის" ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნის შემდეგ კანი წლის მეკარეც კი ვერ გახდა, როგორც ეს სამი წლის განმავლობაში სისტემატურად ხდებოდა. მაგრამ, ამ ყველაფრის მიუხედავად, ბავარიული კლუბის ექსცენტრული გოლკიპერი მსოფლიო სპორტში ჯერ კიდევ მნიშვნელოვან ფიგურად ითვლება და კვირას ბუნდესლიგის მორიგ ტურში რეკორდის დამყარების შანსიც კი აქვს. საქმე ისაა, რომ სტატისტიკოსთა გამოთვლით, კანს უკვე 713 წუთია გოლი არ გაუშვია და თუ კვირა საღამოს "ჰამბურგთან" მატჩში კიდევ 24 წუთის განმავლობაში მშრალად შეინახავს "ბაიერნის" კარს, თავისავე რეკორდს გააუმჯობესებს, რომელიც მან 1998-99 წლების სეზონზე დაამყარა - 736 წუთი ისე გაატარა მოედანზე, რომ მეტოქე გუნდების ფეხბურთელებს გოლის გატანის შანსი არ მისცა. "ჰამბურგთან" მატჩის წინ კანი საკმაოდ ოპტიმისტურადაა განწყობილი და მიაჩნია, რომ, "ბაიერნის" კარგი თამაშის წყალობით, რეკორდის გაუმჯობესება არ გაუჭირდება. " ამდენი ხანი რომ გოლი არ გამიშვია, ეს მარტო ჩემი დამსახურება როდია. "ბაიერნს" ძალიან კარგი დაცვა და ნახევარდაცვა ჰყავს და სწორედ ამის წყალობითაა, ვერავინ რომ ვერ ახერხებს ჩვენი კარის აღებას. იმედია, დიდხანს გაგრძელდება ასე,"- ოპტიმსიტურად განაცხადა კანმა.

### პატიოსანი ლუის ფერნანდესი

როგორც იქნა, ცოტათი მაინც მიწყნარდა ყოვლად არასასიამოვნი აჟიოტაჟი კატალონიურ "ბარსელონასთან" დაკავშირებით. კლუბის პრეზიდენტმა, ხუან გასპარმა ჰოლანდიელი ლუის ვან გაალი მეორედ გააგდო გუნდიდან და "ბარსას" შელახული პრესტიჟის აღდგენის ურთულესი მისია მადრიდის "ატლეტიკოს" ხელმძღვანელს, რადომირ ანტიჩს მიანდო. თითქოს, მწვრთნელთან დაკავშირებული ყოველგვარი პრობლემა ამით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ახლა, შესაძლოა, რადომირ ანტიჩმა თავი შეურაცხყოფილადაც კი იგრძნოს, რადგან გუშინ ფრანგული "პარი სენ ჟერმენის" თავკაცმა, ლუის ფერნანდესმა განაცხადა, რომ ანტიჩამდე კატალონიელები მას დაუკავშირდნენ და გუნდის თავკაცობა შესთავაზეს. "რომ ვთქვა, კატალონიაში წასვლა საერთოდ არ მინდა-მეთქი, უსინდისო მატყუარა ვიქნები. "ბარსელონაში" მუშაობა ყველა სპეციალისტისთვის ძალიან საინტერესოა, მაგრამ მე ამჟამად "პარი სენ ჟერმენის" მწვრთნელი ვარ, ივნისის ბოლომდე მაქვს ამ კლუბთან კონტრაქტი და თავს უფლებას ვერ მივცემდი, დროზე ადრე წავსულიყავი გუნდიდან," - განაცხადა ფერნანდესმა. საინტერესოა, რას მოიმოქმედებს ხუან გასპარი, როცა ფერნანდეს პარიზულ კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდება – შესთავაზებს თუ არა მას კიდევ ერთხელ "ბარსას" ხელმძღვანლის პოსტს?

### სტამი განაწყენებულია

ბოლო დროს იტალიურ სპორტულ პრესაში სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ რომის "ლაციოს" ჰოლანდიელი მცველის, იაპ სტამის ტურინის "იუვენტუსში" გადასვლაზე, რაც სტამს სატიკად აღიზიანებს. ფეხბურთელი აცხადებს, რომ მას "ლაციო" ძალიან მოწონს და არსადაც არ აპირებს წასვლას. "ვერ ვიტან, როცა ჟურნალისტები ისე ავრცელებენ ინფორმაციას ვინმეს შესახებ, რომ ადრესატს არც ეკითხებიან, რამდენად სწორია ყოველივე ეს. არ ვიცი, საიდან მოიტანეს, რომ მე "იუვეში" გადავდივარ. მინდა, ყველას გასაგონად განვაცხადო, რომ ამჟამად "ლაციოს" რიგებში ვირიცხები, რომაულ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და ტურინში გადასვლაზე არც კი ვფიქრობ. ჩემი ოჯახი შესანიშნავად გრძნობს თავს რომში - მსოფლიოს ამ საოცარ ქალაქში. როცა "ლაციოსთან" კონტრაქტი დამიმთავრდება, ალბათ, ჰოლანდიაში დავბრუნდები. მეგობრებთან და ნათესავებთან ერთად ყოფნა არასოდეს არ არის გვიან,"- ასეთი კომენტარი გაუკეთა სტამმა მის შესახებ გავრცელებულ ჭორებს.

### რონალდო კარნავალზე არ მიდის

ყველა დიდი ინტერესით ელოდა, რა გადაწყვეტილებას მიიღებდა მადრიდის "რეალის" ბრაზილიელი სუპერვარსკვლავი რონალდო რიოს კარნავალის დაწყების წინ - მიატოვებდა თუ არა "სამეფო კლუბს" კარნავალის გულისთვის. ფეხბურთელის აგენტები პიტა და მარტინსი, ასევე რონალდოს დედა – სონია, დარწმუნებული იყვნენ, რომ "ფენომენი" რიოში ჩავიდოდა და კარნავალის ბრწყინვალებით დატკბებოდა, მაგრამ რონალდოს პასუხისმგებლობის საოცარი გრძნობა აღმოაჩნდა და განაცხადა, რომ არ აპირებს კარნავალზე წასვლას. " რეალის" ყველა ფანის დასამშვიდებლად მინდა განვაცხადო, რომ არ ვაპირებ გუნდის დატოვებას და გასართობად წასვლას. ყველას შეუძლია ჰქონდეს ჩემი იმედი, რიოში არ წავალ, თუმცა კი გული ძალიან მწყდება, რომ კარნავალი ამჯერად უჩემოდ ჩაივლის. ჩემი ქვეყნისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა, მაგრამ რა გაეწყობა, პროფესიული მოვალეობებიც არანაკლებ მნიშვნელოვანია," -თქვა რონალდომ მადრიდში გამართულ პრესკონფერენციაზე.

ისტორიული ფოტო

## ეს იყო 41 წლის წინათ...



1962 წლის 10 ივნისი. ვინა დელ მარი (ჩილე). მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩი ბრაზილიის ნაკრების თავდამსხმელი ვავა.

ჭადრაკი

# სამშვიდობო შეთანხმება - ადამიანი კომპიუტერს დაუზავდა

კასპაროვი - "Deep Junior"
3 : 3

ნიუ-იორკში დამთავრდა ჭადრაკში ახალი საუკუნის პირველი დიდი დაპირისპირება რუს დიდოსტატ გარი კასპაროვსა და კომპიუტერული პროგრამა "Deep Junior"-ს შორის. გონთა დიდი ბრძოლა ამჯერად ყაიმით დასრულდა. 3:3 - ასეთია ამ მატჩის საბოლოო შედეგი. არადა, ფიდეს ეგიდით ორგანიზებულ ამ უნიკალურ ტურნირში, სპეციალისტების თქმით, ადამიანს გამარჯვებაც შეეძლო, მაგრამ გარი კასპაროვი, ისევე, როგორც წინა პარტიებში, ზედმეტ გართულებას მოერიდა და შესამჩნევი უპირატესობის მიუხედავად, რკინის ყუთს ყაიმი შესთავაზა. 29-ე სვლაზე თამაში შეწყდა.

მეექვსე, გადამწყვეტი პარტია გარი კასპაროვმა შავი ფიგურებით ითამაშა. ნაიდორფის ვარიანტში ადამიანმა C3-ზე ხარისხის სტანდარტული შეწირვა განახორციელა და, ექსპერტთა უმრავლესობის თქმით, დაბოლოებისას უპირატესობა მოიპოვა. თუმცა, ყველასთვის მოულოდნელად, კასპაროვმა კომპიუტერის გუნდს ყაიმი შესთავაზა, მაგრამ კიდევ უფრო მოულოდნელად უარი მიიღო. ორი სვლის შემდეგ პროგრამისტები თვითონ გამოვიდნენ სამშვიდობო ინიციატივით და პარტია, და მასთან ერთად მატჩიც, ფრედ - 3:3 დამთავრდა.

სპეციალისტებს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დაეუფლათ. მათ ვერაფრით ახსნეს გარი კასპაროვის გადაწყვეტილება, რომელმაც შესამჩნევი უპირატესობა დათმო და კომპიუტერს დაუზავდა. "პარტიამ ჩემზე რაღაცნაირად დაუმთავრებელის შთაბეჭდილება დატოვა. დებიუტში "ჯუნიორი" შაბლონურად მოქმედებდა, მაგრამ შავებმა სწრაფადვე გამოასწორეს მდგომარეობა და კონტრშეტევაზე გადავიდნენ. სტანდარტული, მაგრამ ხარისხიანი, უაღრესად ძლიერი და დროული შეწირვის შედეგად კასპაროვმა დაბოლოებისას უდიდესი უპირატესობა მოიპოვა. სამწუხაროდ, დიდოსტატმა საკუთარ თავში ვერ მოძებნა ბრძოლის გაგრძელებისთვის საჭირო ძალები და მეტოქეს ყაიმი შესთავაზა," - განაცხადა სერგეი შიპოვმა.

"ეს გადამწყვეტი ბრძოლა იყო, რაც ადამიანი-მოთამაშისთვის მძიმე ფსიქოლოგიური ტვირთია. ადამიანმა აშკარა უპირატესობის პირობებშიც კი, შეიძლება, ერთი შეცდომა დაუშვას, - სააგენტო Reuters-სთან საუბარში განაცხადა გარი კასპაროვმა, - როცა ადამიანის წინააღმდეგ თამაშობ, ამ შეცდომის გამოსწორება ყოველთვის შეიძლება, მაგრამ კომპიუტერის წინააღმდეგ ეს შეუძლებელია".

ამრიგად, გარი კასპაროვი საპრიზო ფონდიდან გასამრჯელოდ 750 000 დოლარს მიიღებს. კომპიუტერული პროგრამის ანგარიშზე კი 250 000 დოლარი ჩაირიცხება.



გარი კასპაროვი



"Deep Junior"

# ბორის ალტერმანი: "JUNIOR"-ი? - მასთან უბრალოდ ვმუშაობ"

*როგორც ნებისმიერ მოჭადრაკეს, "Deep Junior"-საც მწვრთნელი ჰყავს. როგორია ებრაელი დიდოსტატის, ბორის ალტერმანის როლი კომპიუტერული პროგრამის თანაშემწეთა ბრიგადაში? როგორი დამოკიდებულება აქვს ბორისს თავის რკინის შეგირდთან? ამ და სხვა შეკითხვებზე ამომწურავ პასუხს თავად ბორის ალტერმანი გაგვცემს.*

*ინტერვიუ WorldChessRating-ის კორესპონდენტმა მარკ გლუხოვსკიმ ჩაიწერა.*

**- ბორის, მატჩის ამგვარ განვითარებას თუ ელოდით?**

- ყველაზე მოულოდნელი - სტრატეგიაა, რომელიც ამ მატჩში გარი კასპაროვმა შემოგვთავაზა. ჩვენ თავდაცვას ვცდილობთ.

**- გამიზნულ, ხისტ ბრძოლას გულისხმობ?**

- კაცმა რომ თქვას, კასპაროვი ღია პოზიციებით ღია ბრძოლაზე მიდის. შავებით უფრო ფრთხილობს, მაგრამ მაინც ბრძოლისთვის არის განწყობილი. ეს ყველაზე დიდი სიურპრიზია.

**- და თქვენ რას ელოდით?**

- კომპიუტერის წინააღმდეგ მე თვითონ ბევრი მითამაშია, ამიტომ ეს სამყარო ჩემთვის ნაცნობია. ვიცი, როგორ "ფიქრობს" და მასში რა ხდება. ცხადია, წმინდა ანტიკომპიუტერული სტრატეგიით თანამედროვე მანქანას ვერ გააკვირვებ, მაგრამ კრამნიკი Fritz-ის წინააღმდეგ სწორედ ასეთი სტრატეგიის ელემენტებს იყენებდა - სწრაფი გადასვლა ენდშპილში. კასპაროვი კი იმის დემონსტრირებას ახდენს, რაც თავის დროზე იმავე Fritz-ის წინააღმდეგ შიროვმა გააკეთა - ღია ჭადრაკი, მიზანმიმართული ბრძოლა.

**- თქვენი ყველაზე დიდი პრობლემა ამ მატჩში...**

- უმთავრესი პრობლემა ის არის, რომ კასპაროვი საჭადრაკო თეორიის უმაღლეს საფეხურზე დგას. ჩვენ გვიხდება იმ ვარიანტების ძებნა, რომლითაც დებიუტშივე არ დავმარცხდებით.

**- ეს რთული ამოცანაა?**

- ძალიან. ხშირად გაუგებარია, როგორ ჩამოყალიბდება კომპიუტერის პოზიცია დებიუტის შემდეგ. ჩვენი პროგრამა ისეთივე აქტიური თამაშისკენ მიილტვის, როგორც კასპაროვი.

**- მიუხედავად ამისა, კასპაროვი პირველ სვლას - e4, არ იყენებს. ფრთხილობს?**



ალტმანი პროგრამისტს მორიგ მითითებას აძლევს

- უბრალოდ, d4 უფრო კომპლექსური, შეკრული სვლაა. დაუკვირდი, ვერავინ დაინახა, თუ როგორ თამაშობს კასპაროვი e4- ს კომპიუტერის წინააღმდეგ. მაგრამ მას d4-იც საკმაოდ კარგად გამოსდის - ცოდვაა ამაზე კამათი.

**- რამდენადაც ვხვდები, ადრეულ სტადიაში კასპაროვის სტრატეგიის ერთ-ერთი ელემენტი რომელიმე ახალი სვლის გაკეთებაა, ისეთის, რომელიც არაფერს აფუჭებს. მაგალითად, bd2 ან nfd7. როგორ ემზადებით ამგვარი სიურპრიზებისთვის?**

- ამგვარი სიურპრიზებისთვის მომზადება, ალბათ, შეუძლებელია. შეიძლება წინასწარ კასპაროვის შესაძლო გეგმებზე იმსჯელო, მაგრამ ეს სვლების ლოგიკურ მიმდინარეობაზე არ ვრცელდება.

**- გარეგნულად იქმნება შთაბეჭდილება, რომ თქვენი პროგრამა მატჩიდან მატჩამდე უფრო უკეთ თამაშობს, ასეა? თუ შეიძლება პარტიიდან პარტიამდე, ერთ-ორ დღეში მანქანის გაძლიერება?**

- სინამდვილეში ასეთ მოკლე დროში რაიმე ახალის განხორციელება შეუძლებელია. პროგრამაზე პასუხს შაი და ამირი აგებენ. ჩემი ამოცანა კი სადებიუტო ბიბლიოთეკის დახვეწაა. მიზანი ერთია - დებიუტიდან გამოსვლისას არ აღმოვჩნდეთ უიმედო მდგომარეობაში. კასპაროვი 6 თვის წინანდელ ვერსიას ფლობს. ასეთი მცირე დროის მონაკვეთში პროგრამაში პრინციპული სიახლის განხორციელება წარმოუდგენელია. რა შეიცვალა ბოლო დროს - კასპაროვი უფრო ფრთხილობს და კომპიუტერის უნარის სწამს. რას უკავშირდება ეს ყველაფერი - გადაღლას, თუ სხვა სპეციფიკურ მიზეზს - ამის თქმა მიჭირს.

**- როგორ ხდება სადებიუტო სტრატეგიის შერჩევა. ადამიანი ფიქრობს - დღეს მოგერიებაზე ვითამაშებ, ხვალ კი – თეთრი ფიგურებით გამარჯვებაზე. პროგრამის მწვრთნელი რაღას ფიქრობს?**

- პრინციპში განსხვავება არ არსებობს. როცა მოთამაშე დიდოსტატი გახლდით, თამაშის წინ ამ ყველაფერს ვითვლიდი. ახლა კი ვფიქრობ, რომ "ფრიტცთან" მეფის ფრთაზე აქტიური პოზიციის მიღებაა საჭირო, ხოლო "შრედერთან" - პოზიციური ბრძოლა. ზუსტად ასევე სწავლობ შენი პროგრამის ნაკლსა და სხვისი პროგრამის ღირსებებს.

**- რაში მდგომარეობს თქვენი პროგრამის მთავარი სისუსტე?**

- ვფიქრობ, რომ ის ძველებურად მანქანისთვის დამახასიათებელ ბევრ სვლას აკეთებს. გაიხსენე მეოთხე პარტია - ყოვლად უაზრო, ნეიტრალური სვლები და აბსოლუტურად საყაიმო ენდშპილის გუშინდელი შეფასება, რომელსაც მანქანა აფასებს, როგორც მოგებულს. მე პროგრამისტი არ გახლავართ. მე ვიღებ მზამზარეულ ვერსიას და მხოლოდ შენიშვნების შეტანა შემიძლია.

**- როგორ ფიქრობ, რატომ არ იყენებს კასპაროვი კომპიუტერის სისუსტეს ენდშპილში და აქცენტს მიზანმიმართულ ბრძოლაზე აკეთებს. რა არის ეს ავანტიურის ელემენტი, თუ ეს უფრო მის სტილს ესადაგება?**

- ვფიქრობ, რომ ეს ხასიათი, ფსიქოლოგიაა. გარიმ გადაწყვიტა, რომ არ შეეცდოს კომპიუტერზე მშვიდი ზეწოლის განახორციელებას და თამაშობს ისე, როგორც ყოველთვის - თავის ჭადრაკს.

**- "Deep Junior"-ი "Deep Blue"-ზე უფრო სუსტად თამაშობს, თუ ძლიერად?**

- ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა შეუძლებელია. "Deep Blue"-სთან დაკავშირებით ძალიან უცნაური ისტორია შეგვემთხვა. ჯერ ერთი, მატჩამდე ორი წლით ადრე მან ვერ მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი კომპიუტერთა შორის. მეორე - უშუალოდ მატჩის დროს შაიმ შეამოწმა თავისი კომპიუტერების IBM-ი და უკვე მაშინ სვლების უამრავი თანხვედრა გამოჩნდა. ამდენად, იმის თქმა, რომ "Blue" ერთი თავით მაღლა დგას, არ შეიძლება. საჭადრაკო პროგრამების პროგრესი უაღრესად სწრაფად მიმდინარეობს. ხუთ წელიწადში პროგრამისტებმა თვისობრივად ახალ დონეს მიაღწიეს. ჩემთვის კი, მაშინაც ცნობილი იყო და ახლაც ცნობილია, რომ პროგრამის ალგორითმი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პროცესორის სისწრაფე. ამ მატჩმა ეს ჭეშმარიტება სრულიად დაადასტურა.

**- ბოლო შეკითხვა - ფილოსოფიური. არ გეშინია, რომ კომპიუტერული ჭადრაკის პროგრესი ადამიანურ ჭადრაკს მოკლავს?**

- უფრო პირიქით - ის ფაქტი, რომ ადამიანს მანქანასთან დაპირისპირება კიდევ შეუძლია, საჭადრაკო სამყაროში სპონსორებს მიიზიდავს. როგორც ხედავ, ეს მატჩი უდიდესი პოპულარობით სარგებლობს.

კრივი

# მე-13 ტრაგიკული შემთხვევა ინდონეზიის რინგზე

ინდონეზიის ერთ-ერთ რინგზე თავშეყრილი საკრივო სეირის მოყვარულები საინტერესო ორთაბრძოლის მოწმენი გახდნენ, მაგრამ დასასრული ტრაგიკული გამოდგა. 4 თებერვალს სლამეტუ ნიზარუსა და იოჰან ფრანსისკუსის დაპირისპირებაში ამ უკანასკნელმა თანამემამულე მეტოქისგან ტექნიკური ნოკაუტით მარცხი იწვნია. ფრანსისკუსი უგონო მდგომარეობაში გადაიყვანეს ადგილობრივ საავადმყოფოში. მოკრივის გონზე მოსაყვანად ექიმებმა ყველაფერი ილონეს, მაგრამ... ყოველივე ამაო გამოდგა - 20 წლის ინდონეზიელი მოკრივე ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა. აღსანიშნავია, რომ 1984 წლიდან დღემდე ეს უკვე მე-13 შემთხვევაა, როდესაც საკრივო დაპირისპირების შედეგად მიღებული ტრავმა სასიკვდილო ხდება.

ბუნებრივია, ინდონეზიაში საკრივო ორთაბრძოლებით გამოწვეული სიკვდილიანობით შეშფოთებულნი არიან კრივის მსოფლიოს საბჭოს მესვეურებიც (WBC). საბჭოში მიაჩნიათ, რომ ყველაფრის თავი და თავია აუცილებელი ზომებისა და უსაფრთხოების ნორმების გაუთვალისწინებლობა. WBC ირწმუნება, რომ უწესრიგობის აღსაკვეთად ყველაზე მკაცრ ზომებს მიიღებს - უმნიშვნელო წვრილმანების აღმოფხვრიდან დაწყებული, ინდონეზიის ტერიტორიაზე სარინგო დაპირისპირებების აკრძალვით. საგულისხმოა, რომ, ამავე მიზეზით, კრივის მსოფლიოს საბჭომ 2001 წელს ინდონეზია ექვსთვიანი დისკვალიფიკაციით ერთხელ უკვე დასაჯა.

## საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია

აცხადებს 6-დან 14 წლამდე ასაკის ნიჭიერ ვაჟთა და გოგონათა მიღებას საბავშვო-საყმაწვილო საესტრადო ანსამბლ-სტუდია "ნიკეში".

ანსამბლი-სტუდია "ნიკე" იქნება ნორჩი ტალანტების მეგზური შოუ-ბიზნესის სამყაროში. "ნიკე" მონაწილეობას მიიღებს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიისა და მსოფლიოს წამყვანი საპროდიუსერო კომპანიების ეგიდით გამართულ კონცერტებში, ფესტივალებში და სატელევიზიო პროექტებში.

ანსამბლ-სტუდია "ნიკეს" აღსაზრდელები მიიღებენ სტუდიის კურსდამთავრებულის სერთიფიკატს, რომელიც გაუხსნის მათ გზას შოუ-ბიზნესის ელიტაში.

სტუდიას ხელმძღვანელობს კომპოზიტორი **ზურაბ ჩინჩალაძე**.

მიღება წარმოებს 2003 წლის 10 თებერვლიდან, შემდეგ მისამართზე:

**დავით აღმაშენებლის პრ. N136, II სართული, ოთახი N34.**

**საკონტაქტო ტელეფონი: 95-18-50**

განცხადებების მიღება სამუშაო დღეებში 12-დან 18 საათამდე.




## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

დაბა მანგლისში ერთ ეზოში იყიდება ორი სახლი ერთად, ეკლესიასთან იაფად, ს/ფ 1700 კვ.მ. ტელ: 30-42-92, 899 24 17 81 იანა, ზაური, 31-46-87 საშა.

სასწრაფოდ იყიდება 2- სათულიანი აგურის შენობა (750 კვ.მ.) სარდაფით, მიწის ნაკვეთით. ტელ: 75-53-55.

იყიდება 4-ოთახიანი ბინა 25000 დოლარად. მის: დ/მ მე-2 კვრტ., ბინა 3. ტელ: 52-61-49. კიკნაძე ვასიკო.

იყიდება 2-სართულიანი სახლი 450 კვ.მ საერთო ფართით ეზოთი, მიწისქვეშა ავტოფარეხით. დოლიძეზე 42 000-ად. 332952.

იყიდება საკუთარი სახლი ნუცუბიძეზე, საბაგიროსთან. ხეხილის ბაღით და ავტოფარეხით. 39 87 19

სასწრაფოდ იყიდება კარგად გარემონტებული 5-ოთახიანი ბინა ვაკეში, II-III სართული. ფასი 75 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება გარემონტებული სამოთახიანი ბინა ა/ფარეხით ფალიაშვილის ქუჩაზე. მე-2 სართული. ს/ფასი 50 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება სამოთახიანი ბინა ახალ კორპუსში რუსთაველზე, I სკოლასთან. 50 000. 8(99) 51 58 54

## მიწის ნაკვეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## კომერც. ფართი

**სასწრაფოდ!** ქირავდება ფართი საოფისედ მეტრო "რუსთაველის " უკან, "მაკდონალდსის" ეზოში, 120 კვ.მ, I სართ., მუდმივი დენი, ბ/ა. გარემონტებული. ფასი: 400$.

ტელ: 31-41-91 ნუგზარი. 899 974212.

იყიდება მაღაზიისთვის 160 კვ.მ. ფართი სარდაფით, ვარკეთილის III მ/რ-ში. საწყისი ფასი 4 500. 8(99) 58 32 35

იყიდება მოქმედი სუპერმარკეტი ევრორემონტით ქალაქის ცენტრში. 8(99) 90 57 75

## ბინები

### ქირა, გირაო

იყიდება ფორდ-ეკორტი 1989 წლიანი. უმაღლეს მდგომარეობაში. უპრობლემო. ს/ფ 1100$. 899 150152 მერაბი.

**ქირავდება!**

სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.

ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

## სწავლება

მოვამზადებ მოსწავლეებს ისტორიაში. 79-77-58.

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

კომპიუტერზე მუშაობას. ფასი 15 ლარი. 98-80-23. მის.: გაბაშვილის 7 (მ "რუსთაველის" კინოსახლის უკან).

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

## ეპილაცია

ყურადღება! სამუდამოდ გაგათავისუფლებთ ჭარბთმიანობისგან. ვარჩენთ ნებისმიერი სირთულის თმას. 1 საათი – 12 ლარი. ტ. 93-19-52, 899 168 168 ნინო

## სხვადასხვა

იყიდება სიამის კატა, ძალიან ლამაზი და ჭკვიანი. 200 დოლარად. მის.: დ/მ, მე-2 კვ., კორპუსი 17, ბინა 3. 52-61-69 ვასიკო კიკნაძე.

ვიმუშავებ ძიძად ან დიასახლისად ოჯახში. ტელ: 95-64-28 ნაირა. შეგასწავლით

სასწრაფოდ იყიდება "ლაილაი"-ში ჩართული ნომერი. 893 245872.

უნივერსიტეტის ლექტორი და სკოლის მასწავლებელი მოამზადებს მოსწავლეებს ფიზიკასა და მათემატიკაში. ტელ: 38-63-73 ზურა.

დაგიმზადებთ ყველა სახის უცხოური ავტომანქანის გვერდითა, მოძრავ და უძრავ მინებს. 8(99) 10 35 64, 8(93) 26 32 48

შევიძენ 1-ტონიან პლასტმასის ავზს. 899 973993, 899 298705.

ვთარგმნი გერმანულიდან, ინგლისურიდან, რუსულიდან სამედიცინო და ნებისმიერი სირთულის ტექსტს. 75 53 55

იყიდება ნატურალური ღვინო "ოჯალეში, რომელიც განთქმულია სამკურნალო თვისებებით. ფასი 5 ლარი.

ტელ: 52-30-30, 899 181945

**გეპატიჟებათ კაფე-რესტორანი „იმედი"**

გემრიელი სამზარეულო, მყუდრო გარემო დიდი ქეიფის დროსაც, მაღალი კლასის მომსახურება და ღიმილი ყველაზე ახირებული სტუმრისთვისაც კი. შეგიძლიათ წინასწარ დაიბევოთ ადგილები და მენიუ.

**სანდრო ეულის ქ. 1.**

8(93) 21 76 12










## აფიშა

### საკონცერტო დარბაზები

**აჭარა მიუზიქ ჰოლი**
ჯგუფი "ჩიჩერინა" (რუსეთი)
დას: 23:00 სთ; ფასი $15-$20

### თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ჯუზეპე ვერდი "რიგოლეტო", ოპერა ოთხ მოქმედებად
დირიჟორი ზაზა კალმახელიძე
დას: 12:00 სთ

**მარჯანიშვილის თეატრი**
"პილატე", რეჟ. თემურ ჩხეიძე
დას: 18:00 სთ; ფასი 3,5,6,7, ლარი

**თეატრალური სარდაფი**
"მუუ", რეჟ. ზურა ქიქოძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
"ყველაზე დიდი სასწაული", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი, თორნიკე ღლონტი
დას: 14:00; ფასი 3,5 ლარი
"კომედიანტები", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი

**ახმეტელის თეატრი**
"მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი", რეჟ. დავით ანდღულაძე
დას: 18:00 სთ, ფასი 2,3 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
მაკა ასათიანისა და გუგა კოტეტიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ქარვასლა**
"თექის ტანსაცმელი და აქსესუარები"
კახა შენგელიას ფოტო ნამუშევრების გამოფენა

**ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გალერეა**
ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა "ჩვენ მომავალი ოლიმპიელები ვართ"

**ეროვნული გალერეა**
ნანა მჭედლიშვილის ნამუშევრების პერსონლური გამოფენა
გიორგი უსტიაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**შარდენი**
ტიხრული მინანქარი, ხათუნა ჩხეიძის ნამუშევრების გამოფენა

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
"ბეჭდების მბრძანებელი", რეჟ. პიტერ ჯექსონი
დას: 11:00; 15:00 სთ; ფასი 5-8 ლარი
"პლუტონეში"
დას: 19:00; 21:00 სთ; ფასი 7,8 ლარი

**„რუსთაველი„**
"ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს", რეჟ. ლი ტომახორი; როლებში პირს ბროსნანი, ჰალი ბერი
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ტრანსპორტერი"
დას: 17:00; 21:30 სთ; ფასი 7 ლარი

**„ელისო„**
"ტრანსპორტერი"
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს", რეჟ. ლი ტომახორი; როლებში პირს ბროსნანი, ჰალი ბერი
დას: 17:00; 21:30სთ; ფასი 5 ლარი

## TV პროგრამა 9 თებერვალი

### რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
09.20 მულტსერიალი
10.50 სერიალი „ათასწლეული"
11.50 სიმფსონები
12.50 მხ.ფილმი
14.35 ველური ბუნება
15.05 მხ. ფილმი
17.00 სერიალი „კოლომბო"
18.00, 21.00, 23.40 კურიერი
18.20 სერიალი „კოლომბო"
18.45 სერიალი „სახლი ძველ უბანში"
19.15 ველური ბუნება
20.00 სერიალი „ჩინელი პოლიციელი"
21.25 ჩვენი ეზო
21.45 „ჯეოსელის კინოკლუბი" - „მომავალი ზაფხული" 8 77 45-79-25 ფილიპ ნუარე, კლაუდია კარდინალე, „ტრასა 60" 8 77 45-79-26, ჯეიმს მერსდენი, ჰარი ოლდმენი, „გამოუსწორებელი თაღლითები" 8 77 45-79-27 მაიკლ კეინი, სტივ სარტინი
23.50 მხ.ფ. „მეცხრე კარიბჭე" მთ. როლებში ჯონი დეპი, ემანუელ სინიე
02.00 კლასიკა.

### პირველი არხი

08.00 მოამბე
08.15 მხ. ფილმი „შეიძლება"
10.00 „დილის პაემანი"
11.05 „დიდი დასვენება"
11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში
12.05 „სპა"
12.35 „პრეს-სტუდია"
13.25 მოსკოვი-თბილისი
13.55 „ღამის ჯაზი"
14.25 არათბილისური ამბები
15.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე
15.20 თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლი - „მაკინტუშა"
16.35 „საკვირაო გამოფენა"
16.45 მულტსერიალი „წითელქუდას ნამდვილი თავგადასავალი"
17.35 „ეძიე ქალი"
18.00 ტაიმ-აუტი
18.20 „ჩემპიონი"
18.50 „ეკოდაიჯესტი"
19.25 „ჩვენი მისამართია"
20.00 ტაიმ-აუტი
20.55 „ამბობენ"
21.25 მუსიკალური ოქტაგონი
22.10 ტელესერიალი „ქალები ზღვისპირეთში" მე-2 სერია
23.00 სატელევიზიო კინოდარბაზი მხ. ფილმი „წერილი ნაძვებს"
23.40 „ბენი ჰილი"
00.10 ტაიმ-აუტი
00.40 მხ. ფილმი „მეორე ცხოვრება"

### პირველი სტერეო

10.00 ტოროლა
13.00 განმეორებით უცხოური მუსათეული
14.00 სმს შოუ
16.00 ფილმი „კლუბი"
19.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეორადიო
21.00 ქართული მუსათეული
22.00 ინფორმატორი
22.30 მუსიკა
23.00 აბა გამოიცანი მელოდია
00.00 ფილმი ბრავო „ომი"
01.45 ფილმი ღამურა „ბოროტების სავანე"
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00 მხიარული კარუსელი
19.30 დიზაინი
19.50 ტალანტები და თაყვანისმცემლები
20.30 ვიცი
21.00 მშვიდობით მე-20 საუკუნევ!
21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ
22.00 შვიდეული
23.00 მხ. ფილმი „საგოტაჟი"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი
08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50 მუსიკა
08.30 ახალი ამბები
09.00 მხ. ფილმი „მარიუსის უმანკო ჩასახვა"
10.20 მხ.ფ. „კუბი"
13.00 გადაცემა - მურადა (განმეორებით)
19.30 დოკ. ფილმი
20.00 მხ. ფილმი „ჩემი დიდი ბერძნული ქორწილი"
22.00 ტელე-სინე-ვიდეო
23.00 მხ.ფ. „ქრონოსი"
00.50 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი „მორიელთა მეფე"
14.00 მხ. ფილმი „ვილაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა"
16.00 მხ. ფილმი „უკან მომავალში 3"
18.00 ჯაზ-პარნასი
19.00 ინდ. მხ. ფილმი „უღიმღლო მოტაცება"
22.00 მხ. ფილმი „მის კონგენიალობა"
00.10 მხ. ფილმი „პატივმოყვარეობის კოცონი"

### მეცხრე არხი

09.30 დღის ამბები
09.40 მულტფილმი „ტომი და ჯერი"
10.00, 10.40, 12.35, 13.35 15.50, 19.10, 23.40, 01.35 მუსიკა
10.10 რუს. ვოდევილი „ნიღაბი"
11.00 მხ. ფილმი „ჩინეთში ქალღებს ჭამენ"
12.50 დოკ. ფილმი „მაიკლ ჯორდანი"
13.50 მხ. ფილმი „მთავარი ეჭვიმტანილი"
15.25 მულტფილმი „ვიზიონერები - მაგიური სინათლის რაინდები"
16.00 მხ. ფილმი „ადამიანი-ფარვანა"
18.00 ქართ. მხ. ფილმი „ლომა - დავიწყებული მეგობარი"
19.30 გადაცემა „მსოფლიო ფეხბურთი"
20.00 ქართ. მხ. ფილმი „ლომა"
21.15 დოკ. მუს. ფილმი „ანსამბლი „ქრენბერი" მე-2 ნაწილი
22.00 მხ. ფილმი „დუბლიორი" მთ. როლში ერიკ რობერტსი
00.00 მხ.ფილმი „ცდუნება"

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.15 მუსიკა
09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
09.00 საინფორმაციო გამოშვება
09.30 სათავგადასავლო ფილმი „ჩვილის გასეირნება"
11.05 დოკუმენტური ფილმი
12.10 ისტორიული ფილმი „კანარის პრინცესა"
14.00 ფილმი-კატასტროფა „აპოკალიპსის საათები"
16.10 მულტფილმი „მდიდარი ქალღები"
17.45 კომედია „გამოუსწორებელი მატყუარა"
19.20 მელოდრამა „გონება და გრძნობები"
22.00, 00.00 „დღეს"
22.30 „Новости в воскресенье"
22.50 დოკუმენტური ფილმი
00.30 „Новости в воскресенье"
00.50 მელოდრამა „დღე და ღამე"
03.30 მხატვრული ფილმი „კლდე"

### VII არხი

17.10 „სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა
17.30 „ლა-ლა-ლა"
18.00 ევროპული ფეხბუთი
19.00 „აჩიკუდა"
19.50 „ავტოტრეკინგი"
20.40 „კინოკლუბი „ - „მამაკაცი გამოძახებით"
22.05 „სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები
22.45 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" -იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა
23.05 „სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე
23.50 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" -იტალიის ჩემპიონატი.
01.40 „სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა

### ОРТ

08.00, 11.00, 15.00 Новости
08.10 Сериал „Флиппер"
08.55 Сериал „Твинисы"
09.15 Армейский магазин
09.45 Дисней-клуб: „Тимон и Пумба"
10.10 Дог-шоу
11.10 „Непутевые заметки"
11.30 Пока все дома
12.05 „Властелин вкуса"
13.00 „Клуб путешественников"
13.45 „Лубянка". „Гений разведки". Фильм 2
14.30 Дисней-клуб: „Утиные истории"
15.15 Умницы и умники.
15.40 Сериал „Погода"
16.35 Большие родители
17.05 Спасатели. Экстренный вызов
17.35 Воскресный „Ералаш"
18.00 Док.сериал „Живая природа". „Братья по крови"
19.00 Времена
20.10 Худ.фильм „Мушкетер"
22.15 Боевик „В смертельной зоне"
00.15 Бокс. Шейн Мосли - Рауль Маркес
01.15 Горные лыжи. Чемпионат мира. Скоростной спуск. Пер. из Швейцарии
01.45 Триллер „Привидения"

### РТР

07.35 Худ.фильм „Вторая книга джунглей"
08.50 Мультсериал „Джуманджи"
09.15 Русское лото
10.05 „ТВ Бинго-шоу"
10.35 Вести-Москва. Неделя в городе
11.15 Утренняя почта
11.50 „Городок". Дайджест
12.20 Худ.фильм „Матильда"
14.10 Парламентский час
15.00 Вести
15.20 Вокруг света
16.15 Диалоги о животных
17.10 Док.сериал „Создать группу „А". „Павшие и живые"
18.05 Комната смеха
18.55 Худ.фильм „Уличный боец"
20.50 В „Городке"
21.00 Вести недели
22.10 Специальный корреспондент
22.35 Худ.фильм „Авария"
00.35 Худ.фильм „Клетка"

### НТВ

08.15 Худ.фильм „Полундра!"
08.40 Вкусные истории
09.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 Сегодня
09.05 Худ.фильм „Том Сойер"
10.25 Лотерея „Шар удачи"
10.55 Погода на неделю
11.05 Сериал „Бушующая планета"
12.05 „Растительная жизнь"
12.40 Вы будете смеяться!
13.05 Важные люди в программе „Влияние"
14.05 Комедия „Ты - мне, я - тебе"
15.50 Вкусные истории
16.00, 17.00, 18.00, 19.00 Сегодня
16.05 Своя игра
17.20 НТВ представляет: „Истории охотника за крокодилами"
17.45 „Он женат на своей машине". Ток-шоу „Принцип „Домино"
18.05 Ток-шоу „Принцип „Домино" (продолжение)
19.05 „Национальная безопасность: сахалинская пустыня".
19.45 Худ.фильм „Дневной свет"
22.00 „Намедни"
23.30 Триллер „Поцелуй перед смертью"
01.20 Сериал „Клан Сопрано"
02.20 Ночь




თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24

DERTOUR-ი გთავაზობთ

DERTOUR-ის წარმომადგენლობა საქართველოში LPS-ის ტურისტული ბიური გთავაზობთ ინდივიდუალურ და ჯგუფურ ტურებს ნებისმიერ კონტინენტზე, სასტუმროების დაჯავშნა ყველაზე იაფ ფასებში ადგილზე ვაუჩერის გაცემით, Club Med-ის კურორტები, Disnay Land, კრუიზები გემით - წყნარ და ატლანტის ოკეანეებში, კარიბისა და ხმელთაშუა ზღვაში, ევროპის მდინარეებზე, მანქანის დაქირავება ევროპის ნებისმიერ ქალაქში, საზამთრო ტურები ალპებში ავსტრია, გერმანია, შვეიცარია, იტალია, საფრანგეთი. ტურები ახალდაქორწინებულთათვის, ასევე LUFTHANSA-ს ავიაბილეთები ევროპის ქალაქებიდან. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით, რუსეთის და ევრო ვიზები.

DERTOUR

მისამართი: გამსახურდიას 24/2;
Tel: 91-24-24; Tel/Fax: 25-16-47;
E-mail: lps@access.sanet.ge

IPM
institute for Polling & Marketing

საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტი (აი-ფი-ემი) აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე

1. მედია კვლევების მენეჯერი (700 ლარიდან კვალიფიკაციის მიხედვით)
2. საზოგადოებრივი ურთიერთობების სპეციალისტი (440 ლარიდან კვალიფიკაციის მიხედვით)
3. ბუღალტერი (700 ლარიდან კვალიფიკაციის მიხედვით)
4. თვისობრივი კვლევების კოორდინატორი (350 ლარიდან კვალიფიკაციის მიხედვით)

მედიის კვლევის მენეჯერის, საზოგადოებრივი ურთიერთობების სპეციალისტისა და თვისობრივი კვლევების კოორდინატორის პოზიციებისათვის განსაზღვრულია მოსამზადებელი/სასწავლო მცირე კურსი კომპანიაში. მედიის კვლევების მენეჯერისა და თვისობრივი კვლევების კოორდინატორისათვის სავალდებულოა ინგლისური ენის ცოდნა.

თითოეული პოზიციისათვის სავალდებულოა მინიმუმ ერთ წლიანი სამუშაო სტაჟი მონათესავე პროფესიით, ან განათლება მონათესავე სპეციალიზაციით. თითოეული პოზიციისათვის განსაზღვრულია ხელფასის მატება 6 თვის წარმატებული მუშაობის შემთხვევაში.

განცხადებების მიღება ხდება მისამართზე: თბილისი, ბარათაშვილის 8, მესამე სართული, საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტის ოფისი. ტელ: 997214, 998203

გასაუბრება პრეტენდენტებთან მოხდება 10-14 თებერვალს.





დაზღვეულია ბრიტანეთში

მშენებარე სახლი პეტრიაშვილის ქუჩაზე

არაყიშვილის ქ. №14 ტელ: 25 34 34 91 25 34 91 25 33

- ექსტერიერზე მაღალი ხარისხის მეტალო-პლასტიკის კარ-ფანჯარა ორმაგი შემინვით და ალუმინის დამცავებით
- ტიხრები ამოყვანილი აგურით თქვენს მიერ შერჩეული გეგმარების მიხედვით
- გათბობის ინდივიდუალური სისტემა
- კედლების მაღალი ხარისხის ლესვა გაჯით
- იატაკი მოჭიმული
- ნარმული კომუნიკაციები
- ავტოსადგომი, დისტანციური მართვის კარით
- დაცვის აუდიო და ვიდეო სისტემები

- საერთო მოხმარების ფართის მოვლა-დასუფთავება
- ავტომანქანის რეცხვა
- ტექნიკური მომსახურება
- ნაგვის გატანა

ერთი წლის განმავლობაში დაცვის სამსახურის, სანიტარული და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს უზრუნველყოფს კომპანია აქსისი

ელ.ფოსტა: axis@axisbuilding.com

აქსისი
AXIS

ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"
Visage

პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მაღალი ტექნოლოგიების პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"

მიკროკრისტალურ დერმოაბრაზიას "Aesthipeel"
MATTIOLI ENGINEERING

- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფურომჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

ჭავჭავაძის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური 899-56-18-52

# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.


